პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძოლის ხმა

1934 წ. იანვარი
პარიზი
№ 39
1934 — JANVIER
Paris

ყოველთვიური ორგანო საქ. სოც.-დემ. მუშ. პარტ. ცენტრალური კომიტეტისა ⠿ «L' ECHO DE LA LUTTE» — Revue mensuelle duParti Social-Démocrate Ouvr, de Géorgie.

მსოფლიო პრობლემა

ყველა ცივილიზაცია იყო და არის წყალთა ცივილიზაცია, მათ გაღმა-გამოღმა მცხოვრებთა კულტურული ნორმა და ურთიერთობა.

ყველა ცივილიზაცია გადის საფეხურთა ერთ და იმავე რიგს—დაბადებას, აყვავებას და დაცემას. როცა ერთი შედის უკანასკნელ პერიოდში, ამ დროს იწყება მეორე, მისი გამაგრძელებელი, სხვა წყალზე და სხვა მიწაზე და მით ძაფი ისტორიისა არ წყდება. ტიგრი და ეფრატი შესცვალა ნილოსმა, ნილოსი ხმელთაშუა ზღვამ, ეს კიდევ ატლანტიის ოკეანემ. ამ ჯაჭვის თვითეული რგოლი თანდათან დიდდება, ფართოვდება და ბოლონდელი უზარმაზარ ოკეანეთ იქცევა.

ჩვენ ვიმყოფებით ამ ჟამათ ატლანტიკის პერიოდში. მაგრამ ის დღეს უკვე შერყეულია, განიცდის კრიზის და მაშასადამე კრიზისშია ატლანტიკის მთელი ცივილიზაცია, შესულია თავისი ბრუნვის ბოლო პერიოდში.

და ისმება საკითხი: როგორ შეიძლება ის გადაურჩეს ყველა გავლილ ცივილიზაციათა ბედს, გამოვიდეს კრიზისიდან დაუქცევლათ და თუ ის დასაქცევია სად ისკვნება ნასკვი ახალი, მისი გამაგრძელებელი, ისტორიული პერიოდისა.

ისტორიის თვითეული საზოგადოებრივი ფორმაცია კვდება მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის ამოსწურავს ყველა შესაძლებლობას, იტყვის უკანასკნელ სიტყვას, დახარჯავს ყველა თავის რესურსებს და ამ რიგათ გამოფიტული ხდება სათამაშოთ მისი მემკვიდრე, სადმე ახლათ გაფურჩქნული, საზოგადოებისა.

ატლანტიკის მესვეური და მატარებელია ორი ერი—ინგლისელები და ფრანგები, დანარჩენნი მხოლოდ მათ მისდევენ და მათ გზაზე ეწყობიან. მათ გააშენეს ჩრდილო ამერიკა და ატლანტიკის მიმდევრათ გადააქციეს. იტალია ჩაიჩიხა ხმელთა შუა ზღვაში და ამ ვიწრო ბოღაზიდან ვერ გამოვიდა; გერმანია მთლათ მოეწყდა ამ ხაზს; მისი ორიოდე დასაყრდნობი წერტილები აფრიკაში დიდმა ომმა ხელიდან გამოაცალა. არასოდეს ის ატლანტიკის კანონიერი შვილი არ ყოფილა და რა გასაკვირალია ის ახლა განზე იცქირებოდეს. ორ დიდ მესვეურთა შორის ინგლისი მეტათ წაქანებულია, ის დაემსგავსა იმ კრუხს, რომელიც იხვის კვერცხებს ჩეკს და ეს მისი გამოჩეკილნი მისგან გარბიან და მარტოთ სტოვებენ. მას დარჩა ერთათ-ერთი საფუძველი—ინდოეთი, საიდანაც იძულებული იქნება გამოვიდეს მთლათ ან ირლანდიისებურათ. უკეთეს მდგომარეობაშია საფრანგეთი; ის ჯერ-ჯერობით ახერხებს შეათავსოს თავისი და კოლონიების ინტერესები; ეს აიხსნება მისი სიახლით, იმყოფება კოლონიალური ექსპანსიის პირველ პერიოდში, როცა ადგილობრივი ხალხების გამოღვიძება და ამოძრავება ჯერ კიდევ ნაადრევია და მაშასადამე ინგლისის გზანი მისთვის მომავლის უსიამოვნო მუსიკაა.

ბოლოს და ბოლოს, ატლანტიკის ღვიძლი შვილი საფრანგეთია, მაგრამ მის ირგვლივ და მის შინ იმდენი ნაციონალური და სოციალური წინააღმდეგობანი დაგროვდა, მისი არსებობა იმდენათ ხიფათშია, რომ მას მარტოთ მარტოთ არ ძალუძს თავისი პოზიციები შეინარჩუნოს და მომხრეთა ძებნაშია. ჟენევის არეოპაგი უმთავრესათ მისი დეკორაციაა და მისი შემწეობით არსებობს. ერთა ლიგა ატლანტიკის უმაღლესი გამოხატულებაა, მისი ბატონობის, მისი მოძლვრების საერთაშორისო ორგანოა. ატლანტიკის უკანონო შვილები იქიდან გარბიან. ამერიკა მხოლოდ ახლა მიხვდა რომ მისი გზები მთლათ ატლანტიკური არ უნდა იყოს, მაგრამ სამაგიერო ვერ მონახა და განზე გადგა.

ატლანტიკის ასე წაქანება, მისი მატარებელთა და მიმდევართა ასეთი არევ დარევა, აიხსნება იმით რომ მან ჩქარა ამოსწურა თავისი შესაძლებლობა, ხოლო ამოსწურა იმიტომ რომ ის არ არის საკაცობრიო ცივილიზაცია, მასში არ ურევია კაცობრიობის უმრავლესობა. რომის ცივილიზაცია იყო შვილი ერთ მილიონ რომაელთა, გავრცელდა ის 54 მილიონ ადამიანზე, ევროპაში, აზიაში და აფრიკაში.

ატლანტიკა დაეყრდნო 47 მილიონ ინგლისელს და 39 მილიონ ფრანგს (1920 წ. აღწერით), გავრცელდა სამას მილიონ ევროპიელზე (ურუსეთოთ), დაიმორჩილეს მრავალი უცხო ხალხები და ქვეყნები, მაგრამ ის მაინც დარჩა დასავლეთის ცივილიზაციათ, დიდი ოკეანეს საკუთრებათ, რომლის გარეთ აღმოჩნდა ადამიანთა უმრავლესობა. ატლანტიკა, ისე როგორც ყველა მისი წინაპარნი—ხმელთა შუა-ზღვა, ნილოსი და ეფრატი, გახდა უმცირესობის აკვანათ.

ათას რვაას მილიონ მცხოვრებზე დედა-მიწაზე, ათას ასი მილიონი ცხოვრობს აზიაში. აი ეს უშველებელი თავყრილობა ადამიანებისა ეკვრის წყნარ ოკეანეს და სავსებით განზე დგას ატლანტიკის მიმდინარეობიდან. ევროპაში ითვლება სახნავ სათესი მიწა 2.700 ათასი ოთხკუთხი კილომეტრი, საბალახო და მინდვრები 2.400 ათასი, უვარგისი მიწა 21 პროცენტი; აზიაში კი პირველი კატეგორიის 7.920 ათასი, მეორესი 19.800 ათასი, უვარგისი მიწა 20 პროცენტი. აი ამოდენა ხალხი და ამოდენა ბუნებრივი სიმდიდრე დატოვებულია ატლანტიკის გარეშე და ევროპა იხრაკება თავისივე წვენში. მართალია ატლანტიკის მესვეურნი აქაც შეიჭრენ როგორც დამპყრობელნი, მაგრამ დაკმაყოფილდენ ზღვის პირებით, ვერსად ვერ მოიკიდეს ფეხი შიგნით, მცხოვრებთა სიღრმეში.

აზიის «აღება» არ შეიძლება ნაპირებიდან; ევროპამ ეს ვერ შესძლო. მისი შენძრევა შეიძლება მხოლოდ ხმელეთით, მის შუაგულში შესვლით, უკანიდან მოვლით; შუაგული აზია მისი გასაღებია. მაგრამ აქ შუაზე ჩაწვა დიდი რუსეთი და ევროპა არ გაუშვა. სატრანზიტო საშუალებები დახშო და ეკონომიური ურთიერთობის ალაგას აალაპარაკა ტყვია-ზარბაზანი თავის სასარგებლოთ. კავკასიის და თურქესტანის დაკავებით რუსეთმა მოსჭრა ყველა მისავალი გზები შუაგული აზიისაკენ და ამით ეს ქვეყანა მოსწყვიტა რა ევროპას გაყინა ერთ წერტილზე. საბჭოებმა ეს პოლიტიკა კიდევ უფრო გაამკაცრეს, მეფეთა ხაზი გააგრძელეს.

ევროპის წინაშე დგას უდიდესი პრობლემა—შემოიყვანონ აზიის ხალხები თავის აღებ-მიცემობის სფეროში, ჩაალვას და დაახუროს მილიარდ ხალხს და თავი დააწიოს დაცემას. მაგრამ ეს მას არ ძალუძს, ის მრავალ სამტრო ბანაკებათ დაყოფილია, ლამის ერთი მეორეს დაერიონ და თავისი თავი თვითონ მოიკლან. აი ამ დროს ალაპარაკდა წყნარი ოკეანე და ატლანტიკას დაუპირდაპირდა.

რაკი აღმოსავლეთი და დასავლეთი ვერსად ვერ შეიყარა, გამოღვიძებულ და ამოძრავებულ აზიას ევროპამ სამეგობრო ხელი ვერ გაუწოდა, ხოლო საბჭოთა რეჟიმის მფარველობით რუსული კომუნიზმით კიდეც დააშინა, ცხადია ვინმე უნდა გამოსულიყო ამ ნაკლის შესავსებლათ და თავისი საკუთარი გზებით ეძია აზიის მეთაურობა. აი ეს როლი წილათ ხვდა იაპონიას.

როგორც ერთხელ ატლანტიკის ჩრდილო კუნძულებმა ინგლისელები გამოაგდო მსოფლიო ასპარეზზე დასავლეთის წინამძღოლათ, ისე ახლა წყნარი ოკეანის ჩრდილო კუნძულებმა იაპონელები გადაისროლა აზიის მატერიკზე იქ შექუჩული მილიარდი ხალხების ასამუშავებლათ და შესანძრევათ.

იაპონიის მიერ დაარსება თვითმართველი მანჯურიის და ჯეხოლის და მონგოლიისაკენ გაქანება ამკარა მაჩვენებელია იმ ერთათ ერთ სწორი და ნამდვილი გზის, რომლის საშუალებით მართლა შეიძლება შუაგულ აზიისადმი მიდგომა. იკაფება გზა შიდა ჩინეთს და ციმბირს შორის, მარჯვნივ აუარებელი ცარიელი მიწები, მარცხნივ აუარებელი მცხოვრებლები; იაპონია ერთ და იმავე დროს უკანიდან უვლის როგორც ციმბირს, ისე მჭიდროთ დასახლებულ აზიას. ამ მსვლელობის ბოლო ეტაპია თურქესტანი, საიდანაც შესაძლებელია ხიდის გადება კასპიის ზღვით ევროპისაკენ. და თუ მოხდება ოდესმე დასავლეთის და აღმოსავლეთის შეხვედრა, მოხდება მხოლოდ ამ ხაზზე; სხვა შესაყრელი პუნქტი მათ არ აქვთ.

როგორც ხედავთ, მიტოვებულ აზიაში იწყება უდიდესი რევოლიუცია, ხალხთა და ცივილიზაციათა ახალი გადაჯგუფება, და ეს ძირიანათ, საფუძვლიანათ. ამ საქმეს იაპონია აწარმოებს შეგნებულათ, გაპლანულათ თუ შემთხვევათა აყოლით, ერთი ცხადია—თვით მეთოდი მისი ექსპანსიისა შეცვლილია. მისი გადმოსვლა მატერიკზე დაიწყო კორეის დაპყრობით, ადგილობრივი მთავრობის და დინასტიის გაუქმებით და წმინდა საოკუპაციო ხელისუფლების დაარსებით. ახლა კი პირიქით ის ქმნის თვითმართველობას, ადგილობრივ დინასტიასაც იქ, სადაც წინეთ არ ყოფილა, ე. ი. ეყრდნობა სახელდახელოთ შექმნილ ნაციონალურ ხელისუფლებას, რასაც ის აყენებს თავის მფარველობის ქვეშ. კორეიული მართველობა უარყოფილია, ინგლისური პოლიტიკა დაშვებულია.

იაპონიის ეს შეჭრა შუაგულ აზიაში იწვევს შურს და წინააღმდეგობას პირველ ყოვლისა ატლანტიკის მეთაურთა შორის. ინგლისი მას უპასუხებს ავსტრალიის გზის გამაგრებით, ხოლო საფრანგეთი იმავე გზაზე უდაბური კუნძულების დაჭერით. ამ მიმართულებით ეწყობა შეერთებული შტატების საზედამხედველო პუნქტები. მაგრამ მთელი ეს მუშაობა მოკლებულია საგანს, ვინაიდან იაპონია სრულიად არ აპირებს ამ მხრით დარაზმვას, ამ სახელმწიფოებისათვის დაპირდაპირებას ამ შორეული ადგილების ხაზზე. მან მიაგნო მის გვერდით ულეველი წყარო სიმდიდრის, მიწის და ხალხების და ამ მხრით მიმართა თავისი მუშაობა. აქ კი მას ვერც ერთი მისი მეტოქე ვერ შეეცილება სიშორის და მიუსვლელობის გამო. აქ ძევს მხოლოდ ერთათ-ერთი მეზობელი სახელმწიფო—საბჭოთა იმპერია, და მაშასადამე შეუძლია ითამაშოს რაიმე როლი. მთელი ათეული წლის განმავლობაში ის თვითონ მუშაობდა აზიაში და ფიქრობდა აქაური ხალხების მეთაურათ გამხდარიყო. მაგრამ ის ამ ხალხებს ვერ მიუდგა, მის გულს ვერ მისწვდა, მას მიუტანა მათვის უცხო პოლიტიკური მოძღვრება, მოინდომა მათი გასაბჭოება და სასტიკათ დამარცხდა. მან შექმნა ისეთი პირობები, რომ არა თუ უცხო, არამედ შინაური ხალხებიც აჯანყებული ყავს და მოუთმენლათ ელიან იმ დროს, როცა მას გაექცევიან. ახლა ამ ხელისუფლებას ჩამოეკიდენ ანტიიაპონური ელემენტები და ფიქრობენ მისი ხელით ცეცხლიდან ნაკვერჩხალის გამოღაგებას. რუზველტი მიმხვდარი კაცია, მან კარგათ გამოიფიქრა რუსეთის თავის იარაღათ გამოყენება, მაგრამ ვერ მიხვდა ამ იარაღის სიჩლუნგე და სიძაბუნე. ისტორიულათ წაგებულ საქმეს ვერავითარი ძალა ვერ ამოიგებს. აზიის საკაცობრიო სარბიელზე გამოსვლა—დღეს მსოფლიო აუცილებლობაა. ატლანტიკა მას არ ეხმარება, პაციფი კი ხელს უწოდებს. ამერიკა ამ ოკეანეშია ცალი გვერდით, მისი პირდაპირი ინტერესია მონაწილეობა მიიღოს ამ დიდ საკაცობრიო მუშაობაში. მაგრამ ვიწრო სადღეისო კომერციული ინტერესი მას აიძულებს დასტოვოს მომავალი დიდი ინტერესი და ისტორიულ ტალღას ან უნაყოფოთ შეებრძოლოს ან შორიდან უცქიროს.

მუსოლინმა უთხრა აღმოსავლეთის სტუდენტთა კონგრეს რომში, რომ აუცილებელია აღმოსავლეთის და დასავლეთის შეხვედრა და ეს შეხვედრა მოხდება ფაშიზმის ნიადაგზე! ასე ჩამოახურდავა ამ შეხვედრის ძალა და მნიშვნელობა. ფაშიზმი აზიის გამოგონებაა, ათასი წლობით მძვინვარებდა იქ ყოველნაირი დესპოტიზმი, ამათ შორის იყო კომუნისტურიც, ხალხი მოიღალა, მას მოსძულდა ყველა ეს ძალათ მაცხონეობა. ეძებს ახალს, ახალ ურთიერთობას, ხოლო რომი კი მას ისევ ამ ძველ ამბავს აწვდის! ასეთ ნიადაგზე მათი შეხვედრა წინდაწინ გამორიცხულია. ევროპის წინაშე დგას უფრო მძიმე პრობლემა, უფრო ღრმა ამოცანა, ეს არის მისი ცივილიზაციის ყოფნა არყოფნის საკითხი; ამ ცივილიზაციას მიეცემა ფართე ბაზა მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის გადაიქცევა საკაცობრიო ცივილიზაციათ, როცა მის ფარგალში შევა აზიის ხალხები. ამ მსოფლიო პრობლემის ჩამოქვეითება წვრიმალ პარტიულ ანგარიშებამდე დამახასიათებელია ატლანტიკის ჩიხში მომწყვდეულ ბატონებისათვის, რომელთაც გონიათ რომ კაცობრიობის ათი პროცენტი უნდა ბრძანებლობდეს 90 პროცენტზე, როგორც ეს სამართლიანათ შენიშნა რუზველტმა თავის საახალწლო სიტყვაში.

დასავლეთის და აღმოსავლეთის შეხვედრა ძველათ არა ერთხელ მომხდარა, მაგრამ შეხვედრილან მტრულათ და გაყრილან მტრულათ. ახლა ისევ დადგა ეს საკითხი მსოფლიო მასშტაბით, როგორც მიუცილებელი საშუალება ევროპის კულტურის გადარჩენის. ამ შეხვედრის მოციქულათ ევროპის ეგოიზმი არ გამოდგება. მხოლოდ თანასწორობის და თანამშრომლობის ნიადაგზეა შესაძლებელი მათი დაახლოვება და ძველი და ახალი კულტურიდან ერთი მსოფლიო კულტურის შექმნა. იაპონია მოდის იქიდან, ევროპა უნდა მივიდეს აქედან. გზა კი ერთათ-ერთია, ძველთაგან ცნობილი და მრავალჯერ ნაცადი—გზაა კავკასია თურქესტანი.

ნ. ჟ.

1933 წელი

დიდი ხანია ევროპას არ ახსოვს მეორე წელი, როცა საერთაშორისო მდგომარეობა ისეთნაირად ყოფილიყოს არეულდარეული და გართულებული, როგორც ეს იყო გასულ წელში.

დიდი ომის შემდეგ ევროპა თანდათან ნორმალურ კალაპოტში დგებოდა და ერთნაირ წონასწორობის დამკვიდრებას ცდილობდა. ამას დიდათ უწყობდა ხელს ერთა ლიგის პაქტი, თუ სხვადასხვა ხელშეკრულებები. კიდევ ამ ოთხი წლის წინეთ ევროპის სახელმწიფოთა ფედერაციის იდეას დიდის იმედით და თანაგრძნობით შეჰყურებდენ. მაგრამ უცბათ 1929 წლიდან დაწყებული ევროპას და ამერიკას ეკონომიური კრიზისის გრიგალი მოედო და მისი მრღვეველი შედეგები მთელმა კაცობრიობამ მწვავეთ იგრძნო. მატერიალური გაჭირვება ისე ფართე მაშტაბით დაატყდა თავს მთელ მსოფლიოს, რომ ვიწრო, ნაციონალურ ჩარჩოებში მიღებულ ზომებით მისი გამოსწორება შეუძლებელი შეიქნა. ასეთ მდგომარეობას თან მოყვა საერთო უკმაყოფილება, გაბოროტება, ამა თუ იმ დანაშაულთა ძებნა, უიმედობა, პერსპექტივების უქონლობა, პოლიტიკური სიძნელენი და არსებულ წონასწორობათა დარღვევა.

ევროპის და განსაკუთრებით ცენტრალურ ევროპის პოლიტიკურათ ერთნაირი სტაბილური მდგომარეობა თვალსაჩინოთ შეირყა გასულ წელს გერმანიაში დემოკრატიის დამარცხებით და იქ ფაშიზმის გამარჯვებით. რასისტულ გერმანიამ შინ ებრაელების, თუ მოწინააღმდეგე პოლიტიკურ პარტიების მხეცური დევნით, გარეთ კი განიარაღების კონფერენციის და ერთა ლიგის დემონსტრატიულ მოტოვებით საერთაშორისო აღელვება და მისდამი შიში და უნდობლობა გამოიწვია. ჰიტლერის გერმანია ცდილობს შეიარაღდეს, იბრძვის ვერსალის ხელშეკრულების გასაუქმებლათ და ომში დაკარგულ, თუ ახალ ადგილების ძალით შემოსაერთებლათ ემზადება.

იტალია გერმანიის ფართე ექსპანსიის გეგმებით მეტათ დაშინებულია და დიდათ მოწადინებულია ზოგ მის ზრახვებს წინაღუდგეს და ხელი შეუშალოს. წინააღმდეგ შემთხვევაში მას გასაქანი არ ექნებოდა და ავსტრო-უნგრეთის ძველათ მასზე ბატონობა არა ერთხელ მოაგონდებოდა. თვით მუსოლინმა დიდათ შეუწყო ხელი ჰიტლერის გამარჯვებას. ეხლა კი ფაშისტური გერმანია ბევრ რამეებში ფაშისტურ იტალიას უპირდაპირდება. ეს იმას ნიშნავს, რომ მათი რეჟიმის ერთნაირობა კიდევ არ ნიშნავს მათ შორის სხვადასხვა ინტერესების წინააღმდეგობის მოსპობას.

იტალია ცდილობს თავი დაიცვას და იღებს სათანადო დიპლომატიურ ზომებს უნგრეთში, ავსტრიაში, ბულგარეთში, ოსმალეთში, უნდა აგრეთვე მისდამი დამოკიდებულება გამოაკეთოს მცირე ანტანტის ქვეყნებში, მაგრამ მიუხედავათ რომის მეტათ გადაქცევისა და საგარეო ფრონტზე მუსოლინის დიდი აქტიობისა, დღემდის მას დიდი არაფერი გამოუვიდა.

ინგლისის შინაური მდგომარეობა გასულ წელს თვალსაჩინოთ გაუმჯობესდა. ფინანსების საქმეს გამოჯანსაღება დაეტყო, უმუშევრობა შემცირდა, ეკონომიური ცხოვრება გამოცოცხლდა, ლონდონის ბაზარი ხელახლათ კრედიტების მსოფლიო განმანაწილებელი და რეგულიატორი შეიქნა. წინააღმდეგ, საგარეო პოლიტიკაში კი ინგლისს შარშან არ ქონია ერთი გარკვეული სამოქმედო ხაზი. ის მუდამ ყოყმანობდა, დღეს ერთს ამბობდა, ხვალ მეორეს, არავინ იცოდა, თუ მას რა უნდოდა. ის ცდილობდა ევროპაში შესაფერ წონასწორობის შექმნას და დამყარებას, მაგრამ იმ სურვილით, რომ ყოველგან მას ნაკლები ვალდებულება და პასუხისმგებლობა ქონოდა. წავიდა ის დრო, როცა ევროპაში წონასწორობის სასწორი ინგლისს ეჭირა ხელში და ყველას თავის სურვილს თავზე ახვევდა. დღეს მას ამის შესაძლებლობა აღარ აქვს. ამ მხრივ მისი ავტორიტეტი კონტინენტზე მეტათ შერყეულია.

სხვებთან შედარებით საფრანგეთის პრესტიჟი კი ევროპაში უფრო მაღალ დონეზე დგას. ამ საერთო არევ-დარევის და კრიზისის ხანაში საფრანგეთის ეკონომიური ცხოვრება სხვებთან შედარებით უფრო სტაბილურია. საფრანგეთი დიდი მომხრეა ერთა ლიგისა და საერთაშორისო თანამშრომლობისა და მას საკმაო გავლენა აქვს.

ადვილი გასაგებია, თუ რატომ საბჭოთა რუსეთი გასულ წელს საფრანგეთთან დაახლოვებას და მის ზურგის უკან ამოფარებას ასე თავგამოდებით ცდილობდა. შორეულ აღმოსავლეთით მას იაპონია ემუქრებოდა, გერმანიაში ჰიტლერიზმის გამარჯვებით კი მას დასავლეთით უცებ მეორე და ახალი საშიშროება გაუჩნდა. დაშინებული რუსეთი სასწრაფოთ კრავს დასავლეთით თავდაუსხმელობის პაქტებს და სთმობს ისეთ რამეებს, რაზედაც მას წინეთ ლაპარაკიც კი არ უნდოდა. რუსეთს და რუმინიის შორის ბესარაბიის მუდმივათ საკინკლაო საკითხი, მაგალითად, უცებ დღის წესრიგიდან იხსნება და რუმინია სავსებით კმაყოფილდება. წინეთ მოსკოვი ვერსალის ხელშეკრულებით უკმაყოფილო სახელმწიფოებთან (გერმანია, იტალია, უნგრეთი და სხ.) საფრანგეთის წინააღმდეგ ინტრიგებს აწარმოებდა და დაჯგუფებას ახდენდა. შემდეგ ის უცბათ რაპალოს შეთანხმებას ივიწყებს და ვერსალის ხელშეკრულების დამცველათ გამოდის. საფრანგეთიც ამაში თავის სარგებლობას ხედავს და ცდილობს რუსეთი გერმანიას დაუპირდაპიროს.

შორეულ აღმოსავლეთით შექმნილი მდგომარეობა ამერიკასაც დიდათ აწუხებს. ამერიკას წყნარ ოკეანეზე დიდი ინტერესები აქვს. ამიტომ იაპონიის დღევანდელ ექსპანსიას ის ადვილათ ვერ შეურიგდება და მის საწინააღმდეგოთ რუსეთის ცნობით ერთნაირ დემონსტრაციას ახდენს. სულ სხვა კითხვაა, თუ რა გავლენა ექნება ამერიკის ამ დემონსტრაციას იაპონიაზე, რომელმაც უკვე დაიპყრო მანჯურია, ჯეხოლი, გაიხადა ეს ადგილები სამხედრო ოპერაციების ბაზათ და მომავალ სამხედრო მოქმედებისათვის ემზადება. იაპონიას არ სჯერა, რომ ამერიკა დღეს შესძლებს მის წინააღმდეგ ომში ჩარევას.

ყოველივე ამას ეხლა ემატება გერმანიის და პოლონეთის ერთმანეთთან დაახლოვება. ცნობილია, რომ გერმანიის სურვილია კორიდორი, დანციგი და სილეზია უკან დაიბრუნოს. პოლონეთი კი თავის მხრივ ამაზე არ თანხმდება და ამ ადგილებზე ხელს არ იღებს. მაგრამ საერთო ენის გამონახვა მათ შორის მაინც ხდება. თუ რა სახით და რა პირობებით, ეს კი დღეს პოლიტიკურ წრეებში დიდ ეჭვებს და მითქმა მოთქმას იწვევს.

გასულ წელს საერთაშორისო კონფერენციების და ერთა ლიგის საქმეებიც ცუდათ წავიდა.

ჩაიშალა და უშედეგოთ გათავდა ლონდონის ეკონომიური კონფერენცია.

ჟენევის განიარაღების კონფერენციის ორი წლის მუშაობამაც ვერაფერი მოგვცა.

იაპონია და გერმანია წავიდენ ერთა ლიგიდან, რომელსაც ეხლა იტალიაც ებუტება, მის დიდ რეფორმას მოითხოვს და მას მიტოვებით ემუქრება.

საერთოთ, დღევანდელი მდგომარეობა რეჟიმის კრიზისით ხასიათდება.

დიდ ომს შედეგათ მოყვა მონარქიათა დამხობა, ერთა პოლიტიკური განთავისუფლება და დემოკრატიის გამარჯვება. მაგრამ შემდეგ ევროპაში რეაქციის ხანა დაიწყო. ბევრ ადგილას დემოკრატიული წყობილება გააუქმეს და დიქტატურა დაამკვიდრეს.

ერთა ლიგა, რომელიც აშენებულია დემოკრატიულ პრინციპზე და ერთა სუვერენობის და თანასწორობის საფუძველზე, არ მოსწონთ დიქტატურის ქვეყნებს. ისინი დაინტერესებული არიან ერთა ლიგა, როგორც საერთაშორისო ორგანო, მორალურათ, იდეურათ და იურიდიულადაც მოშალონ...

მეტათ ბუნდოვანი და გაურკვეველი პერსპექტივებით შევდივართ ახალ წელში. ვნახოთ, მომავალი რას გვეტყვის.

კ. გვარჯალაძე.

ᲐᲑᲔᲚ ᲨᲔᲕᲐᲚᲔ

31 დეკემბერს გადაიცვალა საქართველოს დიდი დამცველი და ერდგული მეგობარი აბელ შევალე. ყოფილი სრულუფლებიანი წარმომადგენელი საფრანგეთისა დამოუკიდებელ საქართველოს წინაშე.

ქართველი ერი კარგათ იცნობს გადაცვალებულს. ის საქართველოში მოსვლისთანვე მოგვევლინა ჩვენი ერის ერდგულ მეგობრათ და მისი ინტერესების თავდადებულ დამცველათ. ჩვენი იურიდიული ცნობის საქმეში მან ითამაშა დიდი როლი თავისი მოხსენებებით, რომელსაც ის უგზავნიდა საფრანგეთის მთავრობას ჩვენი ცხოვრების და წყობილების შესახებ. ჩვენი ქვეყნის დაპყრობის შემდეგ ის აქ ყოველგან გამოდიოდა ამ დაპყრობის წინააღმდეგ და ჩვენი და ჩვენი უფლების აღდგენისათვის. ის სიკვდილამდე ეხმარებოდა ჩვენს ნაციონალურ მთავრობას საქართველოს საქმისათვის მუშაობაში. შევალე იყო ფრიად განათლებული კაცი. ავტორი მრავალი ნაშრომის ფრანგულ და ინგლისურ ენაზე. ქონდა მრავალი ჯილდო როგორც უცხოეთის, ისე საფრანგეთის მთავრობის მიერ მიცემული. მისი თხუზულება ინგლისის ისტორიის შესახებ დაჯილდოვებული იქნა საფრანგეთის აკადემიის მიერ. პოლიტიკურად ეკუთვნოდა მემარცხენე დაჯგუფებას. თუმცა არც ერთ პარტიაში არ შედიოდა. ამ იშვიათი დიდბუნებოვან კაცში საქართველომ დაჰკარგა ერთი თავისი დიდი მოამაგე, რომლის კეთილშობილური მოქმედება და სულისკვეთება დარჩება ჩვენს ისტორიაში წაუშლელი.

ის გადაიცვალა 66 წლის.

მის დასაფლავებას დაესწრო ქართველი ერის და მისი მთავრობის სახელით აკაკი ჩხენკელი, შემაკო მისი კუბო შესაფერი გვირგვინით და მიმართა შესაფერი სიტყვით.

მთავრობის თავმჯდომარემ ნ. ჟორდანიამ მის ოჯახს გამოუცხადა დეპეშით თანაგრძნობა.

ᲑᲠᲬᲧᲘᲜᲕᲐᲚᲔ ᲗᲐᲠᲘᲦᲘ

(წერილი საქართველოდან)

საქართველოს სოც.-დემოკრ. მუშათა პარტიის საზღვარგარეთის ორგანიზაციებმა, მიმდინარე წლის თებერვლის თვეში შეძლების და გვარად აღნიშნეს უდიდესი დატა—ჩვენი პარტიის ჩასახვისა და განვითარების, ბრწყინვალე შეტევებისა და ბრძოლების ორმოცი წლის თავი. საქართველოში მომქმედ იატაკ-ქვეშ შეხიზნულ პარტიას, რომლის გასრესას ალვირ-ახსნილი მტერი მთელ თავის ენერგიას ანდომებს, საშუალება არ დაურჩა—თავისი აღფრთოვანება და გაუტეხელი ენტუზიაზმის ხმა დროზე მიეწოდებია საზღვარ-გარეთელი ამხანაგებისათვის. გვიან, მაგრამ გაკაჟებული ენტუზიაზმით ვდგევართ ჩვენი პარტიის განუყოფელ ხსენებულ ორგანიზაციებთან და ჩუმათ, ჩვენს გულში, ვზეიმობთ ამ დიად თარიღს.

საქართველოს სოც.-დემოკრატია იშვა იმ დროს, როდესაც ჩვენს ეროვნულ სხეულს მძიმე ლოდივით მკერდზე აწვა რუსეთის შავი იმპერიალიზმის მრისხანე კერპი. მას ხორცს გლეჯდა და ჰკორტნიდა შემაძრწუნებელი ორთავიანი არწივი; «ეს იყო დრო მძიმე და ბნელი, დრო საშინელი პოლიტიკური რეაქციისა, მასიური დავარდნის და საზოგადო უძლურეობის» (ნ. ჟორდანია). უმწარესი ტკივილით იგრიხებოდა ერი ამ საშინელ დროს; თავისუფლება მისი ინსტიქტიური მოთხოვნილება იყო,—წყურვილი მწვავე და ნერვიული. მაგრამ შეგნება—ბნელი და წყვდიადში გახვეული. თავისთავის შეუცნობლობა და საერთო ძალის შეუგნებლობა, საზოგადოებრივი მოშლილობა, უთაობა და უორგანიზაციობა.

იყვნენ ცალკეული ჯგუფები, რომელნიც სხვა და სხვა უტოპიური საშუალებებით ეძიებდენ საზოგ. ცხოვრების გამოღვიძებისა და გადახალისების გზებს, მაგრამ მათი ხმა რჩებოდა მხოლოდ «ხმად მღაღადებლისად», რადგან სოციალური ტკივილების გაგება და მისთვის საამო მალამოს მონახვა მათგან შეუძლებელი იყო. აბა რა გზების მონახვა შეეძლო ნაროდნიკულ მიმდინარეობას, რომელიც მექანიკურად გადმოინერგა ჩვენში რუსეთის ცნობილი მოღვაწეების ჩერნიშევსკის, ლავროვისა და სხვათა გავლენით. მაგრამ ყველაზე უფრო ძლიერი და გავლენიანი სოციალ-პოლიტიკური აზროვნება ამ დროს თავს იყრიდა იმ მიმართულებაში, რომელსაც ილია ჭავჭავაძე მეთაურობდა. «ივერიის» ჯგუფი ილიას უშუალო მეთაურობით ბოლოს იმ ზომამდე გაფართოვდა, რომ მან სხვა დანარჩენი მიმდინარეობანი თავის კერძათ გაიხადა. ამ რიგად, თავად-აზნაურულ-ლიბერალური იდეოლოგიის ასპარეზი წარმოადგენდა იმ სუფრას, რომელსაც გარს უსხდა ნაროდნიზმის სხვადასხვა სახის წარმომადგენლები—ილია ჭავჭავაძის მეთაურობით. სავსებით მართალი იყო იაკობ გოგებაშვილი, როდესაც სწერდა: «ივერია» ამჟამად არის არამც თუ ერთად ერთი ყოველდღიური გაზეთი ქართულ ენაზედ, არამედ თითქმის მარტოდ-მარტო წარმოადგენს ჩვენს პერიოდულ ლიტერატურას. ამას არ ჰყავს მოცილე არც ერთი გაზეთი, არც ერთი ჟურნალი და არც რაიმე სპეციალური გამომცემლობა»-ო *). მკითხველმა იცის, რომ ეს არ იყო ზერელეთ გამოთქმული აზრი; ფეოდალურ-ლიბერალური არისტოკრატიის იდეოლოგია, რომლის პროპაგანდას აწარმოებდა გაზ. «ივერია»—დოინჯ შემოყრილი იდგა ჩვენი ცხოვრების ასპარეზზე და ყველა ურჩს უბრალო ყურის აწევის შემდეგ თავის სამფლობელოში ერეკებოდა.

ამ მიმართულების პოლიტიკური მრწამსი და სოციალური იდეალი სავსებით გარკვეული იყო: რუსეთის იმპერატორის მტკიცე ხელის ქვეშ—ქართული ეროვნული ცხოვრების მოწყობა,—რასაკვირველია, ყოველგვარი კლასობრივი წინააღმდეგობის არიდებით. ეს აზრები შესანიშნავად ჩამოაყალიბა ილ. ჭავჭავაძემ თავის «ცხოვრება და კანონში» და ამიტომ აქ მეტს არ შევჩერდებით. ჩვენ ოდნავადაც არ ვფიქრობთ ამით შავი ჯვარი დაუსვათ ილიას და საერთოდ «ივერიის» მოღვაწეთა მნიშვნელობას ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ეს ბოლშევიკების ჩვეული საქმეა და არც არავინ ეცილება მათ; ქართველ ისტორიულ მოღვაწეთა დამსახურების წაშლა და მათი ბნელეთის მოციქულებათ გამოცხადება—ბოლშევიკებსაც და ჩვენს ფაშისტებსაც ერთნაირი ასოებით უწერიათ თავიანთ დროშაზე. ილია ჭავჭავაძე, როგორც უდიდესი ნიჭისა და აზროვნების პატრონი ფიგურა—მუდამ იარსებებს ქართველი ხალხის მეხსიერებაში. მაგრამ იარსებებს, როგორც გარკვეული კლასის წინამძღოლი, მისი სისხლი სისხლთაგანი და ხორცი ხორცთაგანი. ქართველი ხალხი ვერ გაჰყვებოდა ბუნებრივათ იმ გზას, რომელსაც ილია უჩვენებდა. მისი განვითარების ისტორიული აუცილებლობა სულ სხვა მხრით იხედებოდა და მაშასადამე, რეალურ ძალთა-განწყობილების არ დანახვა, კლასიური საზღვრების მიფუჩეჩება და ჩატეხილი ხიდის გამრთელებისაკენ ლტოლვა—საკუთარ თვალებში ნაცრის მიყრა იქნებოდა. ერთი სიტყვით, ჩვენ ისევ ვდგევართ იმ შეხედულებებზე, რომელიც ჩვენმა პარტიამ განსვენებული კარლო ჩხეიძის პირით საჯაროთ განაცხადა ბოროტი ხელის მიერ გაჭედილ ილიას კუბოსთან. ეს ასე უნდა ესმოდეს ყველას, ვისაც ჩვენი პარტიის რიგებში დგომა არ მობეზრებია. ტყვილა ფიქრობენ ქართველი უილაჯო—«თეთრ-გიორგელები» და «ახალ ივერიელნი», რომ ილიას მკვლელობის ფაქტი ჩვენ პარტიას მოახვიონ თავზე. ამ უკბილო ცილისწამების განმეორება ერთხელ კიდევ ამტკიცებს მათ მორალურ სიმდაბლეს და განიავებას. საქ. სოც.-დემოკრატიას თავის დროშაზე თავიდანვე ეწერა მისი ბელადის ნ. ჟორდანიას მიერ საქვეყნოთ აღიარებული დევიზი: ბრძოლა პიროვნებაში ჩასახულ მახინჯ აზრებთან და არასოდეს თვით პიროვნებასთან. ეს კარგად უნდა ახსოვდეს ჩვენს ამხანაგებსაც.

ვის უნდა ეკისრა ამ დავრდომილ დროს—ერის მაჯისცემის გასინჯვა, არსებული სინამდვილის გაგება და მისი გარკვეული გზით წარმართვა? რასაკვირველია, მარქსისა და ენგელსის იდეებით შეიარაღებულ ახალ თაობას, რომელმაც 1892 წლის ზესტაფონის თათბირით დაიწყო თავისი პირველი ორგანიზაციული საქმიანობა. აი, აქედან იშლება ჩვენი პარტიის ისტორიის ბრწყინვალე ფურცელი.

პირველი ძირითადი საკითხი, რომელიც რადიკალურად უნდა გადაეწყვიტა ახლად აღმოცენებულ თაობას—ეს იყო გამიჯვნა ნაროდნიკული ტრადიციებისაგან და რევოლიუციონური მარქსიზმის ნიადაგზე დადგომა. მაშასადამე, აქ საჭირო იყო ისეთი თეორეტიული მომზადების მქონე პიროვნების, გინდ პიროვნებათა წამოყენება, რომელიც შესძლებდა ნაროდნიკული სუბიექტიური სოციალიზმის საფუძვლიან კრიტიკას და მეცნიერული სოციალიზმის იდეების პოპულიარიზაციას. ვის უნდა ეკისრა ეს უმძიმესი საქმე? დასის წევრებში ნათლათ ჩანდა რევოლიუციონური განწყობილება, გარკვეული ტენდენცია მარქსისტული მოძღვრებისაკენ, მაგრამ ეს კიდევ არ იყო საკმაო, აქ საჭირო იყო საკითხის ღრმა ცოდნა, მეთოდოლოგიის მომარჯვება და აქედან რეალური სამოქმედო პროგრამის შედგენა—მტკიცე მეცნიერულ ანალიზზე დაფუძნებით. აი ეს საქმე იკისრა ნოე ჟორდანიამ. თუ ეგ. ნინოშვილი მესამე დასის პირველი ორგანიზატორი იყო, ნ. ჟორდანია მისი იდეური სულის ჩამდგმელათ უნდა ვაღიაროთ. ეს ასეა და ამის უარყოფა ჩვენს მტრებსაც კი უძნელდებათ. ეს ვერ უარყო ბოლშევიკების ცნობილმა დაქირავებულმა კალმოსანმა ს. ხუნდაძემ: «ამჟამად არავისათვის სადაო არ არის, რომ ნ. ჟორდანიამ 90-ან წ. ბში ქართული საზოგადოებრივი აზროვნების განვითარებაში უდიდესი როლი ითამაშა. გარდა იმისა, რომ იგი ენერგიულ ბრძოლას აწარმოებდა ძველ მიმდინარეობათა—ნაროდნიკებისა და ივერიელების—წინააღმდეგ და ამით ახალი იდეები შემოჰქონდა ქართულს პრესაში, ნ. ჟორდანიას წერილებს დიდი ნიჭი და საკითხის ღრმა ცოდნა ატყვია... ნიჭიერმა მწერალმა თავიდანვე დაიმსახურა დიდი სახელი და ახალი დასის უმეტესობის მიერ იგი ბელადად იქნა აღიარებული»-ო *). ამ [illegible]ბაში საკმაო სინათლით მოსჩანს ჩვენი [illegible]ახდილი აღსარება. და ეს იმიტომ რომ უკვე აღარავის შეუძლია ნ. ჟორდანიას, დიდი და წაუშლელი ისტორიული დამსახურების უარყოფა. ბოლშევიკებს ხშირად სჩვევიათ ისტორიის წინაშე თვალების მიხუჭვა, აშკარა სინამდვილის არ დანახვა, მაგრამ ამოგლეჯა იმის, რაც ნ. ჟორდანიამ დასთესა ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში,—უკვე აღარ შეიძლება და ამიტომ ზოგიერთ შემთხვევაში უნებლიეთ—სინამდვილეც წამოსცდებათ. თუმცა, ეს მაინც ხელს არ უშლისთ სტალინ ხაჭაპურიძეებს, რომ უსუსური კრიტიკა (სტალინი) და უკბილო ცილისწამება (ხაჭაპურიძე) **), ხალას ჭეშმარიტებათ გაასაღონ, მაგრამ... ნეტარ არიან მორწმუნენი...

როგორც აღვნიშნეთ, სამოქმედო ასპარეზზე გამოსული მესამე დასის იდეური წინამძღოლობა ისტორიამ ნ. ჟორდანიას დააკისრა. მაშასადამე, როდესაც ვმსჯელობთ ჩვენი პარტიის ბრწყინვალე წარსულზე, ვათვალიერებთ მის მიერ განვლილ ბრძოლებს—უსათუოდ მის ღირსეულ ოსტატს ნ. ჟორდანიას უნდა მივადგეთ კარებზე. ამას გვერდს ვერ აუვლის ვერც ერთი საღათ მოაზროვნე ადამიანი, რაგინდ უკიდურესი პოლიუსიდან იცქირებოდეს იგი. ამით რასაკვირველია, ჩვენ არ გვინდა ბოლშევიკებსავით პიროვნება ღმერთად გამოვაცხადოთ, მას ყოვლის შემძლე კვერთხი მივცეთ ხელში და აღთქმის ქვეყნის მოციქულად დავსახოთ. ჩვენ მხოლოდ იმას ვუსვამთ ხაზს, რომ საქართველოს სოც.-დემ. მუშათა პარტიამ ნ. ჟორდანიას სახით წინ წამოაყენა მეცნიერული მარქსიზმის იდეებით შეიარაღებული ადამიანი და მას დააკისრა გარკვეული ხელმძღვანელობის გაწევა. სხვანაირად შეუძლებელიც იყო: ჩვენი ქვეყნის მაშინდელმა ვითარებამ მოითხოვა საზოგადოებრივ ასპარეზზე მესამე დასის გამოსვლა. ამ პროგრესიულ ჯგუფს არ შეეძლო იდეური გზის მაჩვენებლის გარეშე არსებობა. რასაკვირველია, აქ არ იგულისხმება ის, რომ ნ. ჟორდანიას გარეშე შეუძლებელი იყო პოლიტიკური მიმდინარეობის გარკვეულ ყალიბში ჩაყენება და მისი დარაზმვა ერთი საერთო მიზნისაკენ; ასეთი რამ ისტორიისათვის უჩვეულოა. პიროვნების წინ წამოსვლა ცხოვრების ორომტრიალში—რეალურ პირობებს ეფარდება, მის ჩარხს მიჰყვება, მაგრამ არა როგორც პასიური მონაწილე, არამედ როგორც გარკვეული შემომქმედი და მებაირაღტრე. აი, ასეთი მებაირაღტრის როლი დააკისრა პროგრესიულმა დასმა ნ. ჟორდანიას. მანაც ეს ღირსეულად შეასრულა და გაამართლა. 24-25 წლის ახალგაზდამ, საღი მეცნიერული ერუდიცით და ცოდნით აღჭურვილმა—ხელი მოჰკიდა ჩვენი ქვეყნის სინამდვილის შესწავლას, ჩაწვდა მის სიღრმეში და გაბედულად დასახა ის გზები, რომელზედაც უნდა გაევლო ქართველ მშრომელ ხალხს. ამ საქმეში რა თქმა უნდა ნოეს გვერდში უდგენ ერის სასიქადულო სხვა შვილებიც. ამრიგათ, მარქსისტულმა ჯგუფმა ნ. ჟორდანია თავის

---

*) იაკობ სვიმონიძე,—«ივერია» № 3. 1877 წ.

*) ს. ხუნდაძე. «სოციალიზმის ისტორიისათვის საქარ-ში», ტ. I, გვ. 277.

**) ამის შესახებ ვრცელი წერილი გაუგზავნე «ბრძოლის ხმა»-ს რედაქციას, მაგრამ როგორც სჩანს არ მიუღწევია...

ავტორი.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲓᲠᲝᲘᲡ ᲔᲕᲠᲝᲞᲐ

ევროპა ამ ჟამათ განიცდის მუდმივ, შეუჩერებელ რევოლიუციას, აზროვნების ყველა სფეროში, მოქმედების ყველა დარგში, საზოგადოების ყველა კლასში და წრეში.

ეს დიადი მოვლენა ყველასათვის დასანახავი ხდება მხოლოდ პოლიტიკური კატასტროფით, სახელმწიფო წყობილების უეცარი შეცვლით; ის უჩინარი და შეუმჩნეველია, როცა ის პატარა ნაკადულებით გროვდება, მიიმართება და ჩუმათ უხმაუროთ თხრის ძველი წესების ფესვებს.

პოლიტიკური და სამოქალაქო საზოგადოება ერთნაირათ მოიცვა შიშმა, უნდობლობამ, მღელვარებამ; მის გულში ეწყობა ახალი დასაყრდნობი წერტილები, ახალი გადაჯგუფები, ახალი იდეები, რაიცა ურყევს ძველს საფუძველს და უკარგავს მას სიმშვიდეს და უზრუნველ ყოფას.

საზოგადოების ბაზის ასე ძირიანათ შერყევა მოდის მისი ეკონომიური საფუძვლის შეცვლისაგან. ამით საყოველთაოთ აღიარებულია უაღრესობა ეკონომიური ფაქტორის, ყველა სხვა ფაქტორებზე, რომელნიც მის ნიადაგზე ეწყობიან და ხეირობენ. სამაგიეროთ არც ერთ ეკონომიურ ფორმაციაში არ ყოფილა ისე დაფარული ზედშენობის რიგებში მომხდარი ცვლილებები როგორათაც დღეს არის. ამ ცვლილებათა ფაშისტური ფორმა სრულიად არ არის ერთათ ერთი მისი ფორმა, კიდევ მეტი. ის არ არის მისი დამახასიათებელი გამოხატულება. ის არის მხოლოდ ერთი იმ გზათაგანი, რასაც აფორიაქებული კაცობრიობა ეძებს.

მოვლენათა ძირი დამარხულია საზოგადოების შინაგან დუღილში, მის საშოში დაგროვილ ახალ საწარმოვო ურთიერთობაში, ახალ სოციალურ ძალთა შეჯგუფება-გადაჯგუფებაში; დღითი დღე სხვაფერდება ხალხის სოციალური სტრუქტურა, დგება ახალი საზოგადოება; თვით ეკონომიური კრიზისი არის არა ამ ახალი ურთიერთობის მიზეზი, არამედ მისი ლოღიკური შედეგი, მისი აუცილებელი დასკვნა.

როგორ და რა ხაზით წარმოებს ეს პროცესი?

1. საზოგადოება.

საზოგადოება ეკონომიური თვალსაზრისით წარმოადგენს ერთ მთლიან საწარმოვო დაჯგუფებას, რომლის ფარგალში განაწილებულია შრომა მისი მნიშვნელობის მიხედვით. ადამიანთა დიდი უმრავლესობა ჩაბმულია ნივთის დამზადებაში, სიმდიდრის შექმნაში, მცირე ნაწილი კი ამ შემქნელი სიმდიდრის მოვლა-პატრონობაში, განაწილებაში, გადატან-გადმოტანაში და დარაჯობაში. ეს ორივე შრომაა, მაგრამ ერთია შრომა შემქნელი, მეორე კი არა-შემქნელი. საფრანგეთის ნახევარი მცხოვრები რომ მოხელეებათ გადაიქცეს, ამით მის სიმდიდრეს ერთი წყვილი წალაც არ მიემატება, მხოლოდ დაკლებით კი ბევრი დააკლდება. საზოგადოების საფუძველი დაყრდნობილია ამ ორი კატეგორიის შრომაზე და მათ ურთიერთშორის დამოკიდებულებაზე.

კაპიტალისტური საზოგადოების წინა პერიოდში შექმნელი შრომა და მისი მატარებელი კლასები დიდათ ჭარბობენ გამნაწილებელ შრომაზე და მის მატარებელ კლასებზე. მანუფაქტურის პერიოდი ხომ სავსებით დაყრდნობილი იყო მუშის მარჯვენაზე. მანქანების შემოღებამ პირველათ მოახდინა მუშათა შორის დიდი პერტურბაცია, რომელთაგან მრავალი უსაქმოთ რჩებოდა და მანქანას ამტვრევდენ. მაგრამ მსოფლიო ბაზრის გაფართოვებამ და მუშტარათა გამრავლებამ აიძულა კაპიტალისტი მანქანური შრომის გაფართოვებასან თანდათან მეტი მუშა ხელი საქმეში ჩაება. მწარმოებელი ბურჟუაზია და მწარმოებელი პროლეტარიატი გახდენ მთელი ახალი ნივთიერი განვითარების მატარებელნი და მესვეურნი. ესენია ახალი კლასები, კაპიტალისტური რეჟიმის ღვიძლი შვილნი, ხოლო ყველა დანარჩენი ძველი კლასებია, წინა პერიოდებისაგან გადმოსროლილნი და ახალ ურთიერთობაში ჩაბმულნი. ვაჭარი, გლეხი, ფულის გამსესხებელი—იყვნენ მუდამ, ყოველნაირ ეკონომიურ წყობაში.

კაპიტალიზმის ეს ხანა არის მისი კლასიკური ხანა, მისი აყვავების და მსოფლიო მასშტაბით გაბატონების ეპოქა. აქ შემქნელი ბურჟუაზია მეთაურობს და უძღვება მთელ ბურჟუაზიას, შემქნელი პროლეტარიატი მთელ მუშათა კლასს. თანახმათ ამ მათი სოციალური პოზიციისა აღორძინდა ერთი მხრით ლიბერალიზმი, მეორე მხრით სოციალიზმი. ამ პერიოდში კაპიტალიზმის ყველა დარგში ბატონობს სამრეწველო კაპიტალი ყველა სხვა ფორმის კაპიტალზე. ე. ი. კაპიტალისტის მიერ საქონლის ყიდვა-გაყიდვისაგან ამოღებული თანხა არის მთავარი მამოძრავებელი თანხა მთელი სოციალური კაპიტალისა.

მაგრამ კაპიტალისტურ წარმოების მიუცილებელი პირობაა მისი მუდმივობა, მისი შეუჩერებელი წინსვლა და გამრავლება. ერთ დონეზე შეჩერებული კაპიტალი კვდება, ნიავდება. აქედან იბადება აუცილებლობა—გამრავლება მუდმივი კაპიტალის, შემცირება ცვალებადი, სახარჯავი კაპიტალის. თუ წინეთ ეს უკანასკნელი ფორმა საწარმოვო კაპიტალისა სჭარბობდა პირველს, ახლა იწყება მისი დაქვეითება და მის ანგარიშზე უზარმაზარი მანქანების, რთული მექანიკური იარაღების შემოღება და ასე თანდათან რაციონალიზაციის და მექანიზაციის ხანაში შესვლა. ეს საწარმოვო პირობების შეცვლა იწვევს ორ ღრმა სოციალურ ცვლილებას. რადგან მუდმივი კაპიტალის ასე საოცრათ გაზრდა ითხოვს დიდ თანხას, ხოლო ეს მრეწველ კაპიტალისტს არ მოეპოვება, ის იძულებულია მიმართოს სესხს, საკრედიტო დაწესებულებათ. გამსესხებლები, ბანკები, ფინანსისტები იპყრობენ დიდ ძალას და ბოლოსდაბოლოს იმორჩილებენ მთელ სამრეწველო ბურჟუაზიას. კაპიტალის ფინანსიური ფორმა ბატონდება მის სამრეწველო ფორმაზე, ფინანსისტების არმია ხდება მთელი ბურჟუაზიის მეთაური და ტონის მიმცემი.

მაშასადამე, დღევანდელ პერიოდში შექმნელ ბურჟუაზიას დაეკარგა ეკონომიური გეგემონია და ის გადავიდა არა-შემქნელი ბურჟუაზიის—ფინანსისტების ხელში.

ასეთივე ცვლილება ხდება მეორე დიდ თანამედროვე კლასში—პროლეტარიატში. მუდმივი კაპიტალის უსაშინელესი გაზრდა იწვევს მუშა ხელის შემცირებას, მისთვის გადადებული თანხის მინიმუმამდე დაყვანას, უმუშევართა გამრავლებას, სამუშაოზე დარჩენილთა ქირის შემცირებას, კლასის საერთო დალარიბებას. სარეზერვო არმია მუშებისა აუცილებელი პირობაა კაპიტალისტური წარმოების, მაგრამ ასე გაზდა და მუდმივ კონტინგენტათ გადაქცევა გამოწვეულია კაპიტალიზმის ფინანსიური ფორმით. ამ ტეხნიკურ მიზეზებს ერთვის მსოფლიო ბაზარზე მომხდარი ცვლილება. აქ ევროპამ დაკარგა უდაო გეგემონია და გამოღვიძებული, ამომავალი ერები მას ეცილებიან საწარმოვო და სააღებ მიცემო ასპარეზზე.

თუ წინეთ ტეხნიკური პროგრესით გამოწვეული უმუშევრობა ნელდებოდა ახალი ბაზრების და ახალი ქვეყნების დაპყრობით, დღეს პირიქით ევროპას ეკარგვის ძველი ბაზარი, მას ეკონომიურათ ეთიშება არა-ევროპიული ქვეყნები და კრიზისი ხდება თვით რეჟიმის კრიზისათ.

ამ ნაირათ, შემქნელი მომუშავე პროლეტარიატი კლებულობს, სამაგიეროთ მატულობს არა-შემქნელი—უმუშევარი და გამნაწილებელი. საქონლის განაწილების და მოვლის მექანიზაცია არ იზრდება ისე სწრაფათ, როგორც მისი დამუშავების. სატრანსპორტო საშუალებები ვითარდება ძველი წესით—რკინის გზებით და ნაოსნობით, რაიცა მოითხოვს მუშახელს წინანდურათ. ხოლო მეორე მხრით არსდება დიდი სავაჭრო სახლები და ამ გზით მრავლდება ნოქრები და სხვა დაქირავებული მუშები. წარმოებიდან გამოძევებული მუშა ეძებს თავი შეაფაროს არა-საწარმოვო დარგებში, არამედ უმთავრესათ ვაჭრობა-აღებმიცემობაში. მაგალ. გერმანიაში 1907 წელს სავაჭრო დაწესებულებაში ითვლებოდა 1.955.684 დაქირავებული, ხოლო 1925 წ. კი 3 175.157; მოიმატა 62 პროც.

ერთი სიტყვით, ფინანსიური კაპიტალიზმის ძირითადი ტენდენცია შეამციროს შემქნელი კლასები და გაამრავლოს არა-შემქნელი გასაოცარი სისწრაფით განვითარდა ამ უკანასკნელ პერიოდში და დაედვა საფუძვლათ საზოგადოების ძალთა გადაჯგუფებას. როგორც შემქნელ ბურჟუაზიას, ისე შემქნელ პროლეტარიატს ეკარგვის თავის კლასის ფარგალში ძველი გეგემონია. ამის შედეგია პროლეტარული კლასის საზღვრების წაშლა და მის რიგებში ათქვეფა არა პროლეტარული კლასების. ამ მიზნით შეთხზულია ახალი თეორიები, წამოყენებულია ახალი დებულებანი და მათ საფუძველზე დგება სტატისტიკური გამოკვლევანი. ცნობილი ბელგიელი სოციალისტი დემან სწერს ამ საგანზე:

«პროლეტარიატის დამახასიათებელია სწორეთ დამოკიდებულება კაპიტალის მქონე ადამიანებისაგან. ამიტომ მოხელეები და მოსამსახურეებიც ჩაითვლება პროლეტარებათ». თანახმათ ამ თეორიისა უკვე მოეწყვენ ეს რიგები სინდიკალურათ და ჩაეწერენ პროლეტარიატის კლასიურ ორგანიზაციებში. ხოლო ეს ფენები დღითი დღე მრავლდება და მაგრდება, როგორც აუცილებელი შედეგი თანამედროვე კაპიტალიზმისა, რომლის წონასწორობა თანდათან არა-შემქნელთა კლასებზე მყარდება. რიცხვი მოხელეთა და მოსამსახურეთა გერმანიაში ირიცხებოდენ 1882 წ. 1 მილიონი, 1925 წ. 5,3 მილიონი, ამათ შორის სახელმწიფო მოხელენია 1.5 მილიონი. მოსამსახურეთა რიცხვი მოიმატა 1907 წლიდან 1925 წლამდე 133 პროც., ხოლო საერთო მცხოვრებთა რიცხვი მოიმატა 14 პროც. *). ამ ახალი ფენების ასე სწრაფათ განვითარება არის საერთო მოვლენა ყველა კაპიტალისტურ ქვეყანაში, გარდა ინგლისისა, სადაც ტრადიციული სამრეწველო კაპიტალიზმი კიდევ მაგრათ დგას და მასზე აგებული სოციალური დაჯგუფებანი დანგრეული არ არის.

ამ ნაირათ, ამ ჟამათ პროლეტარიატის დამახასიათებელ თვისებათაა გამოცხადებული არა მისი საწარმოვო მდგომარეობა, არა მის მიერ ზედმეტი ღირებულების შექმნა, როგორც ეს კ. მარქს **) და ძველ სოციალიზმს ესმოდათ, არამედ მისი შემოსავალი, მისი დამოკიდებულება დამქირავებელისაგან, თუნდაც ის არავითარ სიმდიდრეს არ ქმნიდეს. შემქნელი პროლეტარიატი არის მხოლოდ ერთი ნაწილი, მთელი მუშათა კლასისა, მისი შრომა არის ნაწილი მთელი დაქირავებული შრომისა. ყოველგან გარდა გერმანიისა და ინგლისისა ის რიცხვით უმცირესობას წარმოადგენს შედარებით თავის კლასთან, ხოლო შედარებით მთელ ერთან, ის ყოველგან დიდი უმცირესობაა. დასავლეთ ევროპაში (ურუსეთოთ) მთელი დაქირავებული შრომის მხოლოდ 45 პროც. არის ჩაბმული სამრეწველო დარგებში; ე. ი. ინდუსტრია, ეს თანამედროვე საზოგადოების დამახასიათებელი ეკონომიური დარგი, ემყარება დაქირავებულთა უმცირესობას.

ცხადია, კლასიკური კაპიტალიზმის მიერ შექმნილი კლასიკური ბურჟუაზია და პროლეტარიატი დღეს აღარ არსებობენ, ისინი დაფუშულია. მათ რიგებში შეიჭრენ ახალი ფენები და მოედანს დაეპატ-

---

*) R. Küstermacier. Die Mitelchichten.

**) იხ. კაპიტალი I, თავი 23.

ბელადათ აღიარა, როგორც «ახალი და მეტად დიდი ძალა» *).

ნ. ჟორდანიას ცხოვრებისა და მოღვაწეობის ისტორია—მტკიცედ ეჯაჭვება ჩვენი პარტიის ისტორიას. ამჟამად ჩვენ საშვალება არ გვაქვს ნ. ჟორდანიას მოღვაწეობის ისტორია დავწეროთ. ეს მეტად რთული და საძნელო საქმეა. საქ. სოც.-დემოკრ. მუშათა პარტიის ისტორიის მომავალი მკვლევარი ღირსეულად დააფასებს ამ დიდი პიროვნების მნიშვნელობას ჩვენი ქვეყნისათვის და ეს დაფასება იქნება მშრომელი ხალხის გულის სიღრმიდან ამოხეთქილი თბილი გრძნობა და დამსახურებული სიყვარული; ამ ხმას შეუერთდება ჩვენი მოძმე ერების მაშვრალთა ხმაც და მედგრად დაირაზმებიან ნოეს მიერ ამართულ ინტერნაციონალურ დროშის ქვეშ, მაგრამ ჯერ ეს ელოდება დროს განმკითხავს და სამართლიანს. ჩვენ მხოლოდ აზრად გვაქვს ზოგადათ გადავხედოთ იმ პირველ დოკუმენტს, რომელმაც თავის დროს გადამჭრელი როლი ითამაშა და რომელიც ცნობილია «ეკონომიური წარმატება და ეროვნება»ს სახელწოდებით. ეს ისტორიული დოკუმენტი—დაწერილი ნ. ჟორდანიას ხელით და მოწონებული მესამე დასის წევრთა მიერ იმდენად არის საინტერესო, რამდენადაც მასში გაშუქებულია ის იდეური საფუძვლები, რომელზედაც დაშენდა ჩვენი პარტიის შემდგომი საქმიანობა.

როგორც ვიცით, იგი დაწერილია 1893 წელს, ე. ი. იმ დროს, როდესაც მარქსის მოძღვრება ჩვენში ახლად იფურჩქნებოდა. ზოგიერთი—მარქს მხოლოდ გვარით თუ იცნობდენ, თორემ მისი მოძღვრების ცოდნაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტი იყო. დასის რამდენიმე წევრი იზიარებდა მარქსის დებულებებს, მაგრამ მას ისევ ნაროდნიკული სუბიექტივიზმის სამოსელში ახვევდა. მაშასადამე, როგორც აღვნიშნეთ, საჭირო იყო სწორედ ისეთი პროგრამის ჩამოყალიბება, რომელსაც «რა ვაკეთოთ»—ერქვა.

აღნიშნული პროგრამის პირველ საკითხად დასმულია: რა ამოძრავებს ისტორიას? და იქვე ხაზგასმით უპასუხებს: ადამიანი და მისი ინტერესები; «ცხოვრების ბურჯი, ისტორიის შემოქმედი ადამიანია», მაგრამ არა განკერძოებულად, არამედ «საზოგადოებასთან ერთად, ერთ ისტორიულ უღელში არის შებმული» რასაკვირველია, არსებობისათვის ბრძოლასთან დაკავშირებით. ადამიანისა და საზოგადოების ურთიერთ დამოკიდებულების გარკვევა თავისთავათ საკითხს სვამს ეროვნების შესახებ. აქ ნ. ჟორდანია არაჩვეულებრივი სიცხადით აშუქებს მარქსისტულ შეხედულებას ეროვნების წარმოშობის და განვითარების შესახებ და დაასკვნის:

«საკაცობრიო და საგვარტომო გაერთიანება შესაძლებლად ხდება ნივთიერ ნიადაგზე, როცა ეკონომიური გაერთიანება იქამდინ მიდის, რომ შრომა ნაწილდება როგორც სხვადასხვა ერთა, ისე ერთსა და იმავე დროს ნაწილთა შორის, თანახმათ კულტურისა, ნიადაგისა და ჰავის თვისებითა. ამით მკვიდრდება ნივთიერი საფუძველი ერთობისა და იბადება მტკიცე ეროვნული ცხოვრება»-ო («ეკ. წარ. და ერ.»).

როგორც ვიცით, ეს შეხედულება სრულ ანტიპოდს წარმოადგენდა ივერიის მამულიშვილური თეორიისას. აქ საკითხი ნათლად დგას: ეროვნების მტკიცე საფუძველზე დანერგვა—მხოლოდ ეკონომიურ ცხოვრებასთანაა გადაჯაჭვული და არავითარ სხვა ძალას—ბუნებრივს, გინდ ხელოვნურს—არ შეუძლია ერის გაერთიანება და საერთო ცხოვრების ფერხულში ჩაბმა. საკითხის ამგვარი დაყენება აშკარა დაპირისპირება იყო ფეოდალურ-ლიბერალური კონცეპციის წინააღმდეგ—ეროვნულ საკითხში. მამულიშვილური თეორიის წარმომადგენლები, ჩვენი ერის ბრწყინვალე ეროვნულ-გამაერთიანებელ ძალას ისტორიის წარსულ ფურცლებზე ხედავდენ და ახალი, გამაერთიანებელი პროგრესიული ძალა მათ აინუნშიაც არ მოსდიოდათ. აბა ვინ გაბედავდა იმის თქმას, რომ თამარ მეფის, დავით აღმაშენებლის, გინდ სხვა ასეთ გამოჩენილ მეფეთა ხელში საქართველო არ იყო შებმული მტკიცე ეროვნულ უღელში, და თუ იყო, მხოლოდ მოჩვენებით. დროებით და დიდ პიროვნებათა გაქრობასთან საპნის ბუშტივით ქრებოდა ეს გაბლანდული ერთიანობა. მაშასადამე, ერის გამაერთიანებელი, ეროვნულ ერთეულად გარდამქცევი მაგიური ძალა ნ. ჟორდანიამ ახალ ვითარების. სააღებ-მიცემო ცხოვრების განვითარებას დაუკავშირა და მით გაბედულად დაგმო ფეოდალურ ლიბერალური «ძირ-გამდგარი» შეხედულებები. აი რას ამბობს ავტორი:

«ჩვენ ვამბობთ, ყოველი კუთხე საქართველოსა წარმოადგენდა ეკონომიურად განკერძოებულ ადგილს; შრომის განაწილება, აღებ-მიცემობა, წარმოება თითქმის სრულიად არ არსებობდა და თუ ხან და ხან აქა-იქ თავს იჩენდა, ისიც ისე ხანმოკლეთ და სუსტათ, რომ ცხოვრების მიმდინარეობაზე არავითარი გავლენა არ ჰქონოდა. ამ გარემოებამ დაბადა კარჩაკეტილი ცხოვრება ქალაქებისა, პროვინციებისა და სოფლებისა. აღორძინდენ და განვითარდენ იმგვარი ეროვნული თვისებანი, რომელნიც აშორებდენ, აცალკევებდენ სხვადასხვა ჯგუფთ ქართველის ტომისას.. ცხრამეტ საუკუნის განმავლობაში ქართველობა წარმოადგენდა არა ერთ მთელ ერს, არამედ რამდენიმე დანაწილებულ ჯგუფს, რომელნიც ცხოვრობდენ სხვადასხვა ეკონომიურ და გეოგრაფიულ პირობებში»-ო (იქვე).

ეს საკმაოდ ვრცელი ამონაწერი ნათელს ჰფენს მისი ავტორის სალსა და მეცნიერულ საფუძველზე დამყარებულ კონცეპციას. ბოლშევიკების «მკვლევარები» ამას სტალინს მიაწერენ და ეს არც გასაკვირია. რადგან კაცს, რომელსაც ლუდოვიკო მე-XIV-ის მსგავსად მთელი დედამიწის მეექვსედი თავის გემოვნებაზე მოუწყვია და მასზე ბრძანებლობს—დიდი და პატარა მაქებარნი—ყველაფერს მიაწერენ; ისტორიამ უამრავი მსგავსი მაგალითები იცის, მაგრამ წერა-კითხვის მცოდნე ადამიანიც კი მიხვდება, რომ სტალინის «ეროვნულ საკითხში»—მოცემული ქართველი ხალხის წარსულის ანალიზი—უნიჭო განმეორება იყო იმისი, რაც ნ. ჟორდანიამ 21 წლით ადრე შესანიშნავად ჩამოაყალიბა.

მეორე დიდი საკითხი, რომელიც მთელი სიგრძე-სიგანითაა დასმული «ეკონომიურ წარმატება და ეროვნებაში»—ეს არის საზოგადოებრივ ასპარეზზე ახალი ძალის გამოსვლის, ქონებრივი დიფერენციაციის და მასზე აღმოცენებულ კლასობრივი წინააღმდეგობის საკითხი. კლასობრივი ანტაგონიზმის საუცხოვო დასურათება—სიტყვა კაზმულ მწერლობაში ეგ. ნინოშვილმა მოგვცა. მაგრამ აქ სიმძიმის ცენტრი მხოლოდ სოფელზე იყო გადატანილი და მასში ჩასახულ უკულმართობას შეეხებოდა. ნ. ჟორდანიამ ეს მოვლენა განასაზოგადოვა, თეორეტიულად დაასაბუთა და ის მთელი ერის მამოძრავებელ ბერკეტად გამოაცხადა. ისტორიული მატერიალიზმის მჭრელი იარაღი აქ პირველად იქნა ზუსტად გამოყენებული მის მიერ და სწორედ მით დასძლია ის შემოტევა, რომელიც შედეგათ მოჰყვა დასის საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოსვლას. ახალმა ვითარებამ წარმოშვა ის ძალა, რომლის შემწეობით—«ერთი ხელში იგროვებს ქონებას და დოვლათს, სამაგიეროთ მეორეს ხელიდან ეცლება და სამუდამოდ ჰკარგავს. ერთის სიმსუქნე მეორეს სიმჭლევეზე არის აშენებული, ერთის ძლიერება მეორეს სისუსტეა, ერთის ბედნიერება მეორეს უბედურებაა» (იქვე).

ერთი სიტყვით, თითქოს მოულოდნელად, მაგრამ ისტორიული აუცილებლობის თანახმად «ერმა თავი გაჰყო კაპიტალიზმის ჭახრაკში» (იქვე).

ჩვენ ზევით აღვნიშნეთ, რომ ნაროდნიკულ-ლიბერალური მიმართულებანი ყოველ ღონეს ხმარობდენ საქვეყნოთ დაემტკიცებიათ, რომ კაპიტალიზმი ჩვენში ფეხს ვერ მოიკიდებს, რომ იგი მხოლოდ ინდუსტრიალური ქვეყნების პირმშოა და აგრარულ ქვეყანაში მისი გადმონერგვა მხოლოდ გამოგონილი ამბავიაო. მაგრამ ცხოვრებამ ძირბუდიანად დაანგრია მათი ილუზიები და ქვეყანა პირისპირ დააყენა გარკვეული სოციალური მოვლენის წინაშე.

ეკონომიურ დანაწილებას—ბუნებრივად უფლებრივი დანაწილებაც უნდა მოჰყოლოდა. რადგან—«ქვაკუთხედს ადამიანის ცხოვრებისას ქონებრივი მდგომარეობა შეადგენს. ქონება და უფლება ეს ორი მხარეა ერთი და იმავე მოვლენისა... შინაარსს უფორმოთ არსებობა არ შეუძლია» (იქვე). ყოველ ახალ სოციალურ ძალას ისე სჭირია მფარველობა, ზურგის გამაგრება, როგორც თევზს წყალი. ამიტომ ბრძოლის შემდგომ მიზნათ ახალმა კლასმა უფლებრივი დასაყრდენის შექმნა დაისახა. სწორედ ამ ნიადაგზე აღმოცენდა ის დანასისხლური დამოკიდებულება სომხის ბურჟუაზიასა და ქართველ თავად-აზნაურობის შორის, რომელმაც კინაღამ მთელი ერი ჩაითრია, რომ ზოგიერთ პროგრესიულ მოღვაწეთ (გ. წერეთელი, ს. მესხი) არ გაელაშქრებიათ ენერგიულად—მომზადებული საშინელების წინააღმდეგ. ნ. ჟორდანიამ ხაზი გაუსვა—ბურჟუაზიული კლასის ამ დაუცხრომელ ლტოლვას უფლებრივი უპირატესობის მოპოებისაკენ. მან გამობრძმედილი მარქსისტის მსოფლმხედველობით ნათელჰყო და ისტორიული ფაქტებით დაასაბუთა ის, თუ საითკენ მიდის ყოველი კლასი, როდესაც მას ეკონომიური ცხოვრების საჭე ჩაუვარდება ხელში.

ამრიგათ, ბატონ-ყმობის მოსპობამ და თავისუფალი ინიციატივის ამუშავებამ ხელი შეუწყო ქონებრივი უთანასწორობის დამკვიდრებას. სავახშო კაპიტალი გაიზარდა, წელში გასწორდა, მიიზიდა თავისუფალი მუშა ხელი და ამნაირად წარმოების ფერხულში ჩაება. ორი მოსისხლე მტერი—მუშა და მწარმოებელი ცხოვრებამ ერთ ჭერ-ქვეშ შერეკა და უთხრა: პირველმა იშრომე იმიტომ, რომ მეორეს ჯიბე გაუსქელო, მეორემ იზრუნე იმისთვის, რომ პირველი სულისაგან-ხორცამდე გაყვლიფო! ნ. ჟორდანიამ ეს პროცესი შემდეგნაირად გააშუქა:

«ამ გვარად წარმოებისათვის ორი რამ არის საჭირო: თანხა და მოქირავე მუშა. ეს ორი ძალა მუდამ ერთი მეორის მოწინააღმდეგეა, ერთმანეთთან მებრძოლი და შეურიგებელი. რამდენადაც იზრდება პირველი, იმდენად ლატაკდება მეორე. ამისთვის ისინი დაუცხრომელ ჭიდილში და მტრობა-ქიშპობაში არიან. მიუხედავად ამისა, ორივე [illegible] არის, ურთი-მეოროთ არსებობა არ [illegible]» (იქვე).

მარქსის ეკონომიური მოძღვრების უკეთ გამოყენება შეუძლებელია. აქ მთელის სიცხადით წარმოდგენილია კლასობრივი წინააღმდეგობის მიზეზი, რაც შედეგათ მოჰყვა ჩვენი კაპიტალიზმის განვითარებას.

ობიექტიურად მოაზროვნე ადამიანს სწორედ ამგვარად უნდა შეეცნო არსებული სინამდვილე და არა ისე, როგორც ეს «ივერიის» მოღვაწეთ ეჩვენებოდათ: «თვითეული ჩვენგანი, გლეხია, თავადი, აზნაური, ქალია თუ კაცი—სულ ყველანი ერთად ქართველები ვართ, ჭირსა და ლხინში განუყრელი და განუწყვეტელი»-ო *). ეს იყო მხოლოდ კეთილი სურვილები, მშვენიერი იდეალი, მაგრამ ცხოვრების სინამდვილიდან დაშორებული და ყოვლად განუხორციელებელი. მას შემდეგ, რაც ადამიანთა საზოგადოებაში საკუთრების მატლი ჩაისახა,—მას თან დაენათლა შეურიგებელი წინააღმდეგობის პრინციპი და ამის მოსპობა შეიძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც მოისპობა მისი უშუალო გამომწვევი მიზეზი. ჭირიცა და ლხინიც სხვადასხვაა სწორედ იქ, სადაც ძალაშია ქონებრივი და მასზე აღმოცენებული უფლებრივი უთანასწორობა. საზოგადოება მანამდე ატარებს ამ მძიმე ჯვარს, სანამ უთანასწორობის ეს პროცესი თავის ლოღიკურ დასკვნამდე არ მიაღწევს. მაშასადამე, ივერიელთა და მათ თანამოძმეთა კლასობრივი ჰარმონიის თეორია ცხოვრებამ უკუაგდო, ჩატეხილი ხიდი ვერ გამრთელდა. მემამულე და გლეხი, მუშა და მწარმოებელი—ერთიმეორეს ვერ ჩამოართმევდენ მეგობრის ხელს, რადგან მათი ინტერესები ცხოვრებამ გამიჯნა და საკუთარი მიზნებისაკენ მიმართა. აი, ეს პროცესი მზის სინათლეზე გამოიტანა ნ. ჟორდანიამ. მან, ფარდა ახადა ჩვენი ქვეყნის შიგნით არსებულ მდგომარეობას და დასახა ის გზები, საითკენაც უნდა წარმართულიყო ცხოვრების მიმდინარეობა.

ეხლა ვიკითხოთ: რა მალამო უნდა დასდებოდა იმ ტკივილებს, რომელსაც მთელი სიმწვავით განიცდიდა დაბეჩავებული მშრომელი ხალხი? «გრძნობს ამას ხალხი, შეგნებული აქვს თავისი მდგომარეობა? ხმარობს რაიმე ღონეს თავის ადამიანური უფლებების დასაცავად?»—ჰკითხულობს ნ. ჟორდანია და განაგრძობს:

«თუ კი ხალხს თავის თავზე რიგიანი წარმოდგენა არ აქვს, არ გაეგება რა შეადგენს მის ღირსებას, არ იცის, ვინ არის მისი მოყვარე და მტერი, მაშინ ის რასაკვირველია, საუკეთესო სარბიელია, სადაც ადამიანის ქვენა გრძნობები საზრდოს პოულობს და ყოველგვარი უსამართლობა და ძალმომრეობა ფრთაგაშლილი პარპაშობს» (იქვე).

შემდეგ ავტორი გარკვევით მიუთითებს:

«ხალხი ერთ ეკონომიურ და იურიდიულ უღელ ქვეშ მყოფი, ობიექტიურად უკვე მზათ არის ერთობისა და კავშირისათვის. ამას მხოლოდ შეგნება აკლია. მიეცით ამასთანვე ხალხს თვით-ცნობიერება და ის დღევანდელ ჯოჯოხეთს ხვალ სამოთხედ გადააქცევს»-ო (იქვე).

ეს ამონაწერი ვფიქრობ კომენტარიებს არ საჭიროებს. მასში საკმაო სიცხადით არის მოცემული ბრძოლის ის აუცილებელი პირობა, რომლითაც შე-

---

*) ეგ. ნინოშვილის სიტყვები. იხ. მისი თხზულებათა II ტ. გვ. 400.

*) «ივერია» 1893 წ. № 1.

რონენ. საზოგადოების ამ ორი თანამედროვე კლასის სტრუქტურა მაშასადამე შეცვლილია.

მაგრამ საზოგადოება ხომ მარტო ამ ორი კლასისაგან არ შედგება. მათ შორის დგას სხვა ჯგუფები, რომელნიც თავის ეკონომიური პოზიციით წარმოადგენენ საშუალო კლასებს და თამაშობენ უდიდეს როლს ერის ცხოვრებაში. ესენია: გლეხობა, ხელოსნობა, წვრილი მრეწველნი და ვაჭრები. ამათ შორის მაწარმოებელი, სიმდიდრის შემქნელია მხოლოდ პირველი სამი კლასი, მეოთხე, ვაჭრები, ეკუთნიან გამნაწილებელთა წყებას. მათი ფიზიანომია და სოციალური საზღვარი ნათელია. ესენია წვრილი მესაკუთრენი, უმთავრესათ პირადი შრომით და საკუთარი ანგარიშებით მომუშავენი. ინდივიდუალური სამუშაო პირობების მიზეზით მათი ნაშრომი მეტათ მცირეა, მათი შენახვის ხარჯებს ძლივს ასწორებს და ნაციონალური სიმდიდრის აღორძინების საფუძვლათ ვერ ხდება. ყველა კლასი ცხოვრობს მწარმოებელ პროლეტარიატის ხარჯზე, ხოლო წვრილი მესაკუთრე მწარმოებლები კი თავიანთ ხარჯზე; ისინი არ ურევიან მუშის ზედმეტი ღირებულების მითვისებაში. ამ მხრით გლეხი და ხელოსანი გაცილებით უფრო ახლო დგას შემქნელ პროლეტარიატთან, ვინემ მუშათა კლასის არაშემქნელი ნაწილები. მთელი თანამედროვე ეკონომიკა დაფუძნებულია შრომის ორ ბოძზე: პროლეტარიატის და წვრილი მესაკუთრენის. მათ შორის ერთი დიდი სოციალური განსხვავებაა—პროლეტარი მუდამ იმყოფება ეკონომიურ ხიფათში. მისი არსებობის ბაზა კრიზისების მსხვერპლია, ხოლო წვრილი მწარმოებელი ეკონომიურათ უფრო გამძლე, მედგარი და უზრუნველყოფილია. ამ განსხვავებიდან წარმოსდგება მათი დღევანდელი ერთი მეორისაგან დიდათ განსხვავებული მდგომარეობა საზოგადოებაში. მსოფლიო კრიზისი არღვევს რა პროლეტარიატს, ვერ ერევა გლეხობას და მას ძველი პოზიციიდან ვერ ერეკება. ჯერ ერთი თანამედროვე მექანიზაცია და რაციონალიზაცია მეურნეობაში ვერ ბატონდება. გლეხი ახლაც ისე მუშაობს როგორც წინეთ მუშაობდა. მაშასადამე გლეხთა განადგურება, მათი ქონების კონცენტრაცია მცირე რიცხვთა ხელში არ ხდება. პირიქით, კრიზისი ერეკება რა მუშებს ფაბრიკებიდან აიძულებს მათ გახდენ წვრილი მესაკუთრე, გაიჩინონ ნაჭერი მიწა ან პაწია სახელოსნო და მით გაამრავლონ საშუალო კლასები. ამ მხრით გერმანიის სტატისტიკა იძლევა საკმაო მასალას. აქ წვრილი სამეურნეო საკუთრება გამრავლებულა 4.64 მილიონიდან 5.1 მილიონამდე, მაშინ როდესაც სხვილი საკუთრება შემცირებულა. ყველა სოციალურ პერტურბაციას, გამოწვეულს კაპიტალისტური საკუთრებისაგან, ადვილათ უძლებს წვრილი, არა კაპიტალისტური საკუთრება. ამიტომ მისი წონა და მნიშვნელობა გაიზარდა. საზოგადოებას შეუძლია იცხოვროს უფაბრიკოთ და უქარხნოთ, არ შეუძლია იცხოვროს უპუროთ. მისი არსებობის ბაზა არის სოფლის მეურნეობა, წარმოების ყველა სხვა დარგი მისი ზედნაშენია.

ამნაირათ, თანამედროვე კრიზისი საშუალო კლასებს შედარებით ამაგრებს და ამრავლებს, უსაქმოთ დარჩენილი მუშა და ნოქარი იძულებულია ჩაებას ამ კლასების საარსებო პირობებში, გახდეს გლეხი, წვრილი ვაჭარი, ხელოსანი და სხ. კრიზისი არღვევს რა სხვილ მიწათმფლობელობას დავალიანებით და ბაზრის შეკუმშვით, ვერ არღვევს წვრილს და ამას ვერ უსპობს ძველ დამოუკიდებელ მდგომარეობას. და თუ სახეში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ახალი საშუალო კლასები—მოხელენი და მოსამსახურენი—პროლეტარიატმა თავის რიგებში ჩაიწერა, ძველი საშუალო კლასები დგანან ურყევათ ძველ პოზიციებზე, გადაურჩენ შინაურ არევას და სოციალურ დაფუშვას. ესენი სწუხან კაპიტალისტური არევით, განიცდიან დიდ გაჭირებას, მაგრამ არა იმდენათ რომ განადგურდენ და პროლეტარიატის რიგებში ჩავარდენ. პირიქით, ჩასავარდნი ასპარეზი აღარ აქვთ, ვინაიდან თვით პროლეტარები არიან იძულებულნი მათ რიგებში ჩავარდენ. განადგურებულ მუშათა ფენებს საშუალო კლასობა ენატრება. კაპიტალისტური ევოლიუცია ასრულებს ციკლს თავის განვითარებისას და მიდის იქამდე, საიდანაც დაიწყო. მისი ჰიპერტროფია აშკარაა.

ერთი სიტყვით, ჩვენ დროში შეიცვალა კაპიტალისტური საზოგადოების სტრუქტურა, არ შეცვლილა მხოლოდ ძველი, წინა-კაპიტალისტური, საზოგადოების სტრუქტურა. ამ გარემოებამ სავსებით არივ-დარია საზოგადოების იდეიური და პოლიტიკური ურთიერთობა.

2. იდეოლოგია.

რაკი კაპიტალისტურ ევოლიუციამ გააბატონა ბურჟუაზიაში მისი ფინანსიური ნაწილი, ცხადია ამით ის გააბატონა მთელ საზოგადოებაში, მთელ სახელმწიფოში და მისი ინტერესები შეიქნა ერის ოფიციალური ინტერესები. საზოგადოება ცხოვრობს და ვითარდება ფინანსიური კაპიტალის ნივთიერ და იდეიურ ფარგალში. ფინანსიური ბურჟუაზიის აღორძინება დაიწყო დიდი ხანია, მაგრამ მისი სრული გაშლა და გამარჯვება მოხდა უკანასკნელ ათეულ წლეებში. ჯერ კიდევ მარქსი სწერდა:

«დგება ახალი ფინანსიური არისტოკრატია, ახალი კატეგორია პარაზიტებისა სხვადასხვა ფორმით—მეპროექტენი, დამაარსებელნი, დირექტორები, მხოლოდ სახელით, მთელი სისტემა მოტყუების და წართმევის. სააქციო საზოგადოებათა დაარსების, ემისიის და აქციათა ვაჭრობის საქმეში... აქ კაპიტალი იხმარება არა მის მესაკუთრეთა მიერ; ამიტომ ისინი არ უფრთხილდებიან ამ სიმდიდრეს, როგორათაც უფრთხილდება მისი მესაკუთრე, რომელიც არასოდეს არ უშვებს მხედველობიდან თავისი საკუთარი კაპიტალის საზღვარს» *).

ე. ი. ფინანსისტები არიან კლასი მოსაშუალეთა, ფულის გამსესხებელთა და მსესხებელთა შორის ჩამდგარი; ის არც ხნავს, არც თესავს, ხოლო მომკით მკის ყველაზე მეტს. ის აწევს ტვირთათ, პარაზიტათ როგორც მწარმოებელ კაპიტალისტს ისე არა-მწარმოებელს, მსესხებელთ და გამსესხებელთ და ორივე მხრიდან ეწიწება თავის ჯიბიდან მოგების უდიდეს ნაწილს. მისი მიზანია, მაშასადამე, არა წარმოება, არა სიმდიდრის შექმნა, არამედ მხოლოდ და მხოლოდ სარგებლის მიღება. და თუ ეს მიზანი განხორციელდება გარეშე წარმოებისა, თუ ხალხის გაპარვა მოსახერხებელია ფაბრიკა-ქარხნების აუმუშავებლათ, ის ამ მხრით აწყობს თავის საკრედიტო სისტემას. საბოლაოთ, ფინანსიური ბურჟუაზია ამოვარდნილია მწარმოებელი ბურჟუაზიის ნიადაგიდან, კაპიტალისტური ეკონომიკის ბაზიდან და ემსგავსება ძველებურ მევახშეთ, რომელიც სხვადასხვა გვარი გაიძვერა ხერხებით ზრდიდა თავის თანხას.

რაკი მოსაქმე საზოგადოებაში გაბატონდა მისი უსაქმო, პარაზიტული ნაწილი, არ შეიძლებოდა არ გაბატონებულიყო მისი იდეოლოგია.

სამრეწველო ბურჟუაზიის დოქტრინა გამოიხატება ეკონომიაში—კონკურენცია, პოლიტიკაში ლიბერალიზმი.

ფინანსიურ ბურჟუაზიამ უარყო ორივე ეს მცნება და მათ დაუპირდაპირა ეკონომიაში მონოპოლია, პოლიტიკაში ეტატიზმი, სახელმწიფოს ეკონომიური სუპრემატია. რატომ? ცხადია რატომ, რადგან მთავარი მიზანია საზოგადოების ჯიბიდან რაც შეიძლება მეტი ფულის ამოღება, ამის საუკეთესო საშუალებაა სახელმწიფო აპარატი, მისი ბიუჯეტი, მისი სააქციო კანონმდებლობა, მისი მფარველობა და ხალხის წინაშე მისი ავტორიტეტით სარგებლობა.

სამრეწველო ბურჟუაზია სახელმწიფოს აკუთვნებდა უბრალო დარაჯის როლს; ფინანსიური ბურჟუაზია კი მას ეყრდნობა და თავის საქმეებს მისი საშუალებით აწყობს. ამიტომ თანამედროვე სახელმწიფო იცვლის თავის ეკონომიურ პოლიტიკას. მისი მთავარი ამოცანაა უზრუნველყოს ფინანსისტების გასესხებული ფულის უკან დაბრუნება და რაც შეიძლება ნაკლები გაკოტრების გამოცხადება. მაგრამ ამისათვის საჭიროა თვით მსესხებელნი არ იყვნენ მსხვერპლნი ეკონომიური კატასტროფების, ფასების დაცემის, ურთიერთშორის შეჯიბრების და ერთიმეორის დამარცხების. მაშასადამე, გაწესრიგებული კაპიტალისტური ეკონომია. კონკურენციის დაბორკვა, შეთანხმება, ტრესტების და მონოპოლიების შემოღება, ფასების დაწესება, წარმოების შემცირება—მთელი რიგი იმ ახალი ზომებისა, რაც ამჟამათ ტარდება სხვადასხვა სახელმწიფოში, დემოკრატიულში და ფაშისტურში, და რასაც ეწოდება დაგეგმილი ეკონომიკა. მათი საბოლაო მიზანია ფინანსიური კაპიტალის გამაგრება, მისთვის მოგების უზრუნველყოფა. შეერთებული შტატების «კეთილდღეობა» დაბოლავდა უოლსტრიტის ფინანსიური კატასტროფით; რუზველტის მთელი მუშაობა მიმართულია უოლსტრიტის აღსადგენათ, ბირჟისათვის ძველებური ბატონობის დასაბრუნებლათ.

ამნაირათ, ფინანსიური ბურჟუაზიის ინტერესებს აღარ შეეფერება ბურჟუაზიული წარმოების ძირითადი კანონები, ფასების შეჯიბრება, საქონლის მისი ღირებულებისამებრ გაცვლა, ამ ღირებულების შიგ ჩადებული შრომის რაოდენობით განსაზღვრა, კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის მიერ სამიდღემჩიოთ გამოცხადებული პრინციპები. ცოცხალ-კვდარი ლიბერალების დრტვინვა ამ ახალ წესებზე რჩება ხმათ მღაღადებელისა უდაბნოსა შინა; ეს წრიპინი საზოგადოებას აღარ ეყურება. სამაგიეროთ, რეფორმატორები მოიცვა ახალმა წინეთ გაუგონარმა ეკონომიურმა მოძღვრებამ. თითქოს მსოფლიო კრიზისის დაძლევა შეიძლებოდეს არა წარმოების, არამედ ფულის აღებ-მიცემობის მოწესრიგებით. «მონეტური პოლიტიკა» დაედვა საფუძვლათ ფინანსიური ბურჟუაზიის საბატონო მიმდინარეობას. კლასი—პარაზიტი სულდგმულობს პარაზიტული საშუალებებით.

თუ ასე სამაგალითოთ აირ-დაირია ბურჟუაზიის რიგები, უკეთესი მდგომარეობა არც პროლეტარიატის რიგებშია.

როგორც ვთქვით, კაპიტალისტური სიმდიდრის შემქნელი პროლეტარიატი დაქირავებული შრომის უმცირესობაა, ხოლო მცხოვრებთა საერთო რაოდენობაში ის პატარა კუნძულს წარმოადგენს. არა-შემქნელი მუშათა კლასი, სიმდიდრის გამგე და გამნაწილებელი ფენები და საშუალო კლასები ყოველგან ერის დიდი უმრავლესობაა, მაგრამ კლასთა ამა თუ იმ რაოდენობას არ აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა ისტორიულ განვითარებაში. წინააღმდეგ შემთხვევაში მცირე რიცხოვანი ფეოდალების და შემდეგ ბურჟუაზიის საწარმოვო წესები და მასზე აგებული მათი ბატონობა შეუძლებელი იქნებოდა. სოციალიზმი უჩვენებდა კაპიტალიზმის მხოლოდ ტენდენციას გააპროლეტაროს ერის უმრავლესობა, მაგრამ არასოდეს ეს მას პირობათ არ დაუსვამს სოციალიზმის განხორციელებისა. მისი მოძღვრებით ისტორიაში გადამჭრელია ობიექტიური საზოგადო პროცესი, რომელიც წარმოებს ხალხის გულში და შეკავშირებულია რომელიმე კლასის დაბადებასან, განვითარებასან და მსვლელობასან. როგორც ფეოდალურ საშოში აღორძინებული ბურჟუაზიული საწარმოვო წესები ბოლოსდაბოლოს ხეთქს ამ ძველ რკალს და იმარჯვებს, ისე ბურჟუაზიულ საშოში აღორძინებული პროლეტარული საწარმოვო წესები გახეთქს ბურჟუაზიულ ჩარჩოს და გაიმარჯვებს. თუ ამ მსვლელობას არ ასვამს ძალი ისტორიული აუცილებლობის, ის ვერ გაიმარჯვებს, თუნდაც მთელი ერი პროლეტარათ გადაიქცეს. მაგრამ ამ პროცესის დაჩქარება თუ დაგვიანება, პირდაპირ მსვლელობა თუ მიხვევ-მოხვევა, მეტი თუ ნაკლები მსხვერპლის გაღება—ეს კი დამოკიდებულია ადამიანთა შეგნებისა-

---

*) კაპიტალი, უკანასკნელი ტომი, თავი 27.

ეროვნული

საძლებელია ტვირთის შემსუბუქება და შემდეგ მისი საბოლოოდ გადაგდება. «გაღარიბებული ნაწილის შეკავშირება და თვითცნობიერების შექმნა პოლიტიკურ-ეკონომიურ ნიადაგზე» (იქვე).—აი ის დევიზი, რომელიც სოც.-დემოკრატიამ თავის დროშაზე დააწერა და მით გამოვიდა ბრძოლის ასპარეზზე. მშრომელი ხალხის ერთ საერთო დროშის ქვეშ დარაზმვა. საკუთარ მიზნებთან გაცნობა და ენერგიული ბრძოლის ასპარეზზე. მშრომელი ხალხის ერთ საერთო დროშის ქვეშ დარაზმვა, საკუთარ მიზნებთან გაცნობა და ენერგიული ბრძოლის წარმოება ყოველგვარი უკუღმართობის წინააღმდეგ—ეს იყო ცხოვრების მოთხოვნილებებთან სავსებით შეფარდებული ლოზუნგი და რევოლიუციონურმა დასმაც სწორედ მას ჩაჰკიდა ხელი.

თავის საპროგრამო ნაშრომში მოცემული ქვეყნის სოციალური ვითარების ანალიზი ავტორმა შემდეგ ოთხ უმთავრეს თეზისში ჩამოაყალიბა: 1) ადამიანის კეთილდღეობა განუყრელად უკავშირდება ეკონომიურ მდგომარეობას, 2) კაპიტალიზმი, როგორც ფეოდალიზმის რეაქცია და ერის და კაცობრიობის გამაერთიანებელი ძალა. 3) ბურჟუაზიული ურთიერთობის ნიადაგზე აღმოცენებული ქონებრივი დიფერენციაცია და კლასობრივი წინააღმდეგობის გაჩაღება და 4) პროლეტარიატის და გლეხობის შეკავშირება პოლიტიკო-ეკონომიურ ნიადაგზე და ბრძოლა—პირველი მიზნის მისაღწევად.

აი, ამ ოთხი ძირითადი დებულებით გამოვიდა ჩვენი პარტია სამოღვაწეო ასპარეზზე და ლეგალური თუ არალეგალური საშუალებები მის განსახორციელებლად მომართა. ეს პრინციპი დაედვა საფუძვლად მესამე დასის საჯარო დემონსტრაციას ეგ. ნინოშვილის კუბოსთან, სადაც სილ. ჯიბლაძემ, რომლის საფლავიც კი დაუკარგეს ბოლშევიკებმა ხალხს,—ყველას გასაგონად განაცხადა:

«ჩვენი აწინდელი ცხოვრება წარმოადგენს ორ ახალს, ერთი მეორეს მოწინააღმდეგე წოდებას ან კლასს. ერთი მხრით ფიზიკური და გონებრივი შრომის წარმომადგენელნი, მეორეს მხრით მუქთა ხორა ბურჟუა-კაპიტალისტები. პირველთა ხვედრია აუტანელი შრომა-გარჯა, მეორეთა კი დასაკუთრება ამ შრომის ნაყოფისა. ამ უკუღმართობის დასამარცხებლად არის... ორსულად ახლანდელი ქამთა ვითარება. ამ მშობიარობის დასაჩქარებლად და გასაადვილებლად იღწვიან და უნდა იღწვოდენ კიდევაც საუკეთესო წარმომადგენლები ახალი თაობისა» ო*).

როგორც ვხედავთ, მარქსისტული სოფლმხედველობით აღჭურვილმა ახალმა თაობამ არაჩვეულებრივის სიცხადით ნათელჰყო ის ღრმა სოციალური ცვლილებები, რომელიც იწყება ფეოდალურ-კარჩაკეტილობის ღრვევის შემდეგ. ეგ. ნინოშვილის კუბოსთან აღიმართა ის ტრიბუნა, საიდანაც გაისმა ახალი ხმა,—უჩვეული, ბევრისთვის უსიამოვნო, მაგრამ სალი და ცხოვრების სიღრმიდან ამოხეთქილი. მაშინდელი პოლიტიკური მიმართულებანი და მათი პრესა გაფაციცებით ადევნებდენ თვალყურს ახალი თაობის აღმოცენებას. «ივერიის» ბანაკში საშინელი მითქმა-მოთქმა გაისმა—ეს რა ახალი მოქიშპე შემოგვეპარაო, ხოლო გ. წერეთლის ზომიერი «კვალი» თავისებური სიდინჯით აღნიშნავს ამ ფაქტს: «ნინოშვილის საფლავზე მოგროვდა მესამე დასი ახალგაზდობისა, რომელმაც ძალიან გარკვევით აღნიშნა თავის სიტყვაში პროგრამა აწინდელი მოქმედებისა... ჩვენ საჭიროდ ვცანით დავსტამბოთ მხოლოდ ორი ახალგაზდის სიტყვა, რომელთა აზრებში თვალსაჩინოთ იხატება მესამე დასის ახალგაზდობის მისწრაფება და მისი იდეალი»-ო*).

ეს ორი ახალგაზდა იყო სილ. ჯიბლაძე და არს. წითლიძე, ორივე ბოლშევიკების მიერ წამებული და ჯვარცმული. მათ სამარეში ჩაჰყვათ მშრომელთა ყრუ გმინვა, უსაზღვრო პატივისცემა და სიყვარული. ისტორია ამას ხედავს და თავის დროზე სამართალსაც გამონახავს—ორი პირველი რევოლიუციონერი ორატორის უდანაშაულო წამების გამო.

ნ. ჟორდანიას ხელით შედგენილი სამოქმედო პროგრამა საფუძვლად დაედვა ჩვენი პარტიის მთელ შემდგომ მოღვაწეობას. ერთხელ და სამუდამოთ აღებული დროშა მას არასოდეს ხელიდან არ გაუგდია, იდგა მის ოთხ ძირითად პრინციპზე და შეურყევლად მიდიოდა წინ ახალ-ახალი გამარჯვებებისაკენ. ეკლიანი იყო ეს გზა. მრავალი შემოტევები განიცადა პარტიამ—როგორც მარჯვნიდან, ისე მარცხნიდან. მაგრამ ისტორიის პიროვნულმა კანონებმა მას ფართო ასპარეზი მისცა ერის გულში შესასახლებლად. პარტიამ ალღო აუღო ცხოვრების მოთხოვნილებებს და თავისი სამოქმედო გეზიც მას შეუფარდა, ხოლო ამ საქმის ხელმძღვანელობა, მედროშეობა ნ. ჟორდანიას მიანდო. მთელი ორმოცი წლის მანძილზე მას ხელში უპყრია ეს ბრწყინვალე დროშა და მის ქვეშ მოუწოდებს ერის და ქვეყნის ყველა სასიცოცხლო ძალებს.

1917 წლის რევოლიუციის ზარმა—პარტია და ერი კიდევ უფრო დაუახლოვა ერთმანეთს. ხალხმა საკუთარი თვალებით იხილა სოც.-დემოკრატიული პარტიის რეალური სახე, მიჰყვა მის გზას და ეროვნული ცხოვრების აღორძინებას შეუდგა. მაგრამ ხანმოკლე გამოდგა ეს სანეტარო დრო. უხეშმა უცხო ძალამ დაანგრია ეს დარაზმული ერთსულოვნება და ქვეყანას უმკაცრეს უღელში გააყოფია თავი. დაიწყო შეუბრალებელი კაფვა ერის და მისი წინამძღოლი პარტიის. ბოლშევიკებს იმდენი ენერგია რომ სხვა საქმეში გამოეჩინათ, რამდენიც საქართ. სოც.-დემ. მუშათა პარტიის დარბევას და მის სისხლში შეღებვას მოანდომეს—რა უშავდათ. მაგრამ გაშიშვლებულ ბარბაროსობას სხვა მხრივ რითი უნდა გამოეჩინა თავი, თუ არა ქართველი ერის განადგურებით და მისი მებრძოლი პარტიის ფიზიკური შემუსვრით!..

და ეხლა, როდესაც ჩვენი პარტიის განვლილი ორმოცი წლის მედგარი ბრძოლის ისტორიას ვათვალიერებთ,—ვეკითხებით ჩვენს თავს: ნუ თუ შეიძლება ისეთი პოლიტიკური კოლექტივის დაღუპვა, რომელსაც ცხოვრებამ მტკიცე ნიადაგი მოუმზადა ერის კეთილდღეობისათვის სამოღვაწეოთ? ნუ თუ თავიდანვე შემცდარი იყო ის გზები, რომელიც ასე ზუსტად დასახა ნ. ჟორდანიამ ამ ორმოცი წლის წინათ? ნუ თუ ჩვენშიაც ჩაბუდდა ის მატლი, რომელმაც არა ერთი და ორი პოლიტიკ. მიმდინარეობა აღგავა პირისაგან მიწისა? აქ პასუხი მხოლოდ ერთია: არა და ათასჯერ არა! საქართველოს სოც.-დემოკრატია მაინც ცოცხლობს და სდარაჯობს თავის ქვეყანას! ამ საშინელ დროს იგი განსაკუთრებული სიფრთხილით რაზმავს მტრის მიერ დაქსაქსულ ძალებს, რომ ხელსაყრელ მომენტში კვლავ დაიბრუნოს 12 წლის წინათ წართმეული თავისუფლება. ეს მაგიური მძლეობა ჩვენს პარტიას თავიდანვე დაენათლა. არ სჭრის მტრის ლახვარი უმოწყალოდ ჩვენკენ მომართული. ჩვენი პარტია, ბოროტი ძალის მიერ მიზანში ამოღებული—შეუნელებლად ამჭიდროვებს თავის რიგებს, ამოწმებს ბრძოლის ძველ მეთოდებს, ავსებს მას ახლით—უფრო საიმედო და დასაყრდნობით, კავშირს აბამს სხვა ანტიბოლშევიკურ პროგრესიულ ელემენტებთან და ამ საერთო ფრონტით უყურებს ბრწყინვალე განთიადის მოახლოვებას. ვისაც ჩვენი ქვეყნის მწვავე ბორკილებიდან გამოხსნა თავისი მოღვაწეობის საგნათ დაუსახავს დღეს უყოყმანოთ უნდა დადგეს ამ საერთო ასპარეზზე.

დღევანდელი საერთაშორისო პოლიტიკური სიტუაცია მწვავეა და ნერვიული. იგი ჩქარა მონახავს თავის გზას, ისტორიის კომპასი მას ამ გზას მოანახვიებს ძალით თუ ნებით, ჩააყენებს საკუთარ კალაპოტში, რომლიდან ამოვარდნა ძნელი იქნება. ბოლშევიკური ბონაპარტიზმის მიწურული ეხლა უფრო გარკვევით ჩანს ვიდრე ოდესმე. მისი დაღუპვისაგან დახსნა შეუძლებელია. რას ვიზამთ ამ დროს ჩვენ და ჩვენთან ერთად სხვა მრავალი წამებულნი და უფლება-აყრილნი? შევძლებთ თუ არა თავის დახსნას საბჭოების რღვევის დროს?—აი, კითხვები. რომელსაც სჭირია პასუხის გაცემა. ეს გზა მოხაზულია, შემოწმებული და საიმედო. დავდგეთ მის ნიადაგზე, წარვიმძღვაროთ წინ ძველი გამობრძმედილი მედროშე—ნოე ჟორდანია და გამარჯვება ჩვენია.

ისელი.

ტფილისი, 1933 წ. სექტემბერი.

---

*) «კვალი» 1894 წ. № 22.

*) იქვე.

რენეგატი იოსებ ირემაშვილი

«თეთ. გ.» დეკემბრის ნომერში დაბეჭდილია ყოფილი სოციალდემოკრატი იოსებ ირემაშვილის ვეებერთელა წერილი.

ცნობილია რომ რენეგატი პირველ ყოვლისა თავიდან გაიხრწნება და რა გასაკვირია თუ ასეთი ადამიანი არც თავს ზოგავს და არც სხვას.

«სამი ათეული წლის ყოფილი მარქსისტი ვარო» აცნობს შოვინისტურ აუდიტორიას თავისთავს რენეგატი. და ამ «სამი ათეული წლის მარქსისტს» არც კი სცხვენია რომ იმ რწმენას, იმ იდეას, რომელსაც ის «სამი ათეული წელი» ემსახურებოდა—«ველური» უწოდოს! იმ პოლიტიკას, რომელსაც ის მხარს უჭერდა—«ბოროტი, ცილისმწამებელი, მოღალატური»! პარტიას, რომელშიდაც ის «სამი ათეული წელი» ირიცხებოდა—«ბანდიტური»! ამ პარტიის მეთაურს და ხელმძღვანელს ნ. ჟორდანიას—«ისტორიული დამნაშავე», «ქართველი ხალხის მოსისხლე მტერი და სხ. და სხ.

არ ვფიქრობთ რომ ვინმემ დაიჯეროს პატიოსნება იმ კაცის, რომელიც «სამი ათეული წელი» თურმე «ბანდიტურ» პარტიაში იყო, მას ემსახურებოდა და ეხლა კი უეცრად, თითქოს აეხილა თვალი, გაექცა წარსულს და ფაშისტების მანტიას შეაფარა თავისი ცოდვილი თავი. ასეთი რენეგატების ფასი ყოველგან და ყველასათვის ცნობილია.

ჩვენ არც კი გვაკვირვებს ეს. ემიგრანტობა მეტად მძიმე მოვალეობაა და მისი ატანა ისე, რომ შერჩე და ფაქიზათ შეინახო რაც გწამდა და რასაც ემსახურებოდი, მეტად დიდ სულიერ სიძლიერეს მოითხოვს; და ვისაც ეს არ მოეპოვება, [illegible] არაა, თუ ადვილათ ეცემა. ერთი ამათთაგანია იოსებ ირემაშვილი. ამიტომ მასთან არსებითად კამათი სრულიად უადგილოა. მარა, მისი წერილის ორი ადგილი მაინც უნდა ავღნიშნოთ.

«დამოუკიდებლობის დროს—სწერს ის—გვარდიის დღესასწაულზე სხვებთან ერთად მეც ვიყავი მიწვეული. ჩვენებურათ ჭიქით ხელში როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ ქართველებს უსურვე გაერთიანება, ძმობა, ერთობა. რამაც საერთო აღფრთოვანება გამოიწვია. ამის გამო ჩემს პირდაპირ მჯდომი ნ. რამიშვილი თვალების გადმობრიალებით დამემუქრა: «ი. ჭავჭავაძის ბედი არ გაგავიწყდესო».

ამ ამონაწერით ჩვენი რენეგატი ორი კურდღლის დაჭერას ლამობს: ვითომ ის იყო ქართველების გაერთიანების მოტრფიალე და ამისთვის მას ნ. რამიშვილი სდევნიდა და ემუქრებოდა. და ეს მაშინ როცა ყველამ იცის რომ იოსებ ირემაშვილი ეკუთვნოდა იმ სამარცხვინო სულ მცირე ჯგუფს, რომელმაც გამოიგონა ჩვენში «იმერელი შეგვჭამსო» და საამისო უღირს დემაგოგიასაც აწარმოებდა. ამ ნიადაგზე მას მართლაც ქონია არა ერთი და ორი ახსნა-განმარტება პარტიულ წრეებში. ახლა კი ურცხვათ აცხადებს: გაერთიანება, ძმობა ერთობის ქადაგებისათვის მდევნიდენ, «ი. ჭავჭავაძის ბედით» მემუქრებოდენო.

«ი. ჭავჭავაძის ბედის» წამოქადნება ეს ისეთი სისაძაგლეა, რომლის დაბლა დაშვება აღარ შეიძლება. მარა ეს არის, ალბათ, ის საწევრო ბილეთი, რომლითაც ის ხდება წევრი ფაშისტური ჯგუფისა.

არა ნაკლებ საზიზღარი ცილისწამებაა ევდოშვილის ისტორიაც. «მახსოვს საიდუმლო კრება—სწერს ის—რომელზედაც ევდოშვილის საკითხი იდგა: მე და ცაბაძის სასტიკი წინააღმდეგობა რომ არ ყოფილიყო, ის მოკლული იქნებოდაო».

ეს ახალი გამოგონება ერთავად ირემაშვილს ეკუთვნის. ის თავიდან ბოლომდე მის მიერ არის შეთხზული ახალი ბატონების გულის მოსაგებად. ამიტომაა რომ მოწმეთაც მიცვალებულს ასახელებს. დავიჯეროთ რომ იმ საიდუმლო კრებაზე დამსწრეთაგან არავინ აღარაა ცოცხალი?! რატომ ისინი არ დაასახელა?!..

საბრალო რენეგატი! აღარ იცის რით და როგორ დაიმსახუროს ჩვენი რეაქციონერების ყურადღება. ჭეშმარიტათ რომ შესაბრალისია ასე დაბლა დაცემული ადამიანი. რაც უფრო ჩქარა წავა ასეთი პირი მით უკეთესი. იყო ვერ ვამჩნევდით, წავა ვერ გავიგებთ...

გრ. ურ.

რედაქციისაგან.

ჩვენ მივიღეთ რ. არსენიძის, რუსიას, აბდუშელის და სხვების მიერ ხელმოწერილი წერილი «ბრძ. ხმ.» მე-36 ნომერში «სიმართლე შინაპარტიული დავის შესახებ» დაბეჭდილ წერილების საპასუხოთ, რომელსაც უადგილობის გამო ვერ ვბეჭდავთ ამ ნომერში. დაიბეჭდება შემდეგ ნომერში.

გან, ამომავალი კლასის მიერ ისტორიული მოწოდების შესრულებისაგან.

სოციალიზმი არის შემქნელი პროლეტარიატის მოძღვრება, მისი საწარმოვო და სოციალური მდგომარეობის გამოხატულება. დანარჩენი მისი მონათესავე მშრომელთა ფენები და კლასები მას უნდა მისდევდენ, მის გეგემონიას სცნობდენ. ეს ასე იყო სამრეწველო კაპიტალიზმის პერიოდში, ასე აღარ არის დღეს საზოგადოების ახალ სტრუქტურაში. მშრომელთა არა შემქნელი ნაწილის გამრავლება. მის გულში ახალი საშუალო კლასების შეჭრა, თვით პროლეტარიატის უმუშევრობით დაუძლურება, გატეხა, მისი ერთი ნაწილის პარაზიტულ მდგომარეობაში ჩაყენება უკარგავს მას ძალას, გავლენას და უკან ახევიებს მთელ ფრონტზე. პროლეტარიატის კლასიური ორგანიზაცია შეიცავს ყოველგან მხოლოდ ნაწილს პროლეტარიატისას. მისი პოლიტიკური პარტიები ვერსად ვერ იმხრობენ პარლამენტალურ არჩევნებზე მთელ პროლეტარულ მასას, გარდა ერთათერთი შვეციისა. ეს ორგანიზაციულათ დაყოფილი კლასი გადმოდის ახალ, დღევანდელ, რთულ საზოგადო პირობებში და ვარდება ახალი ფენების ჩიხში. კლასი მოსამსახურეთა და მოხელეთა უკეთ შეკავშირებულია, უფრო შეძლებულია, თავის ინტერესების გაგებულია, მოძრავი და მყვირალაა, ვინემ ფაბრიკის ან მთამადნის მუშები, რომელთაც დროც არ აქვთ წაიკითხონ, დაფიქრდენ და საზოგადო საქმეებში შესაფერი მონაწილეობა მიიღონ. ჩვენ ვნახეთ უმუშიერთა გამო ინგლისის მუშათა მთავრობის დარღვევა, ვნახეთ საფრანგეთში მოხელეთა ჯამაგირების გამო სოც. პარტიის გახეთქა, სამი სამინისტროს დაცემა, მაგრამ არ გვინახავს არცერთი ასეთი მოვლენა მუშათა ხელფასის და მათი ბრძოლის ინტერესების ნიადაგზე. მუშას ასობით და ათასობით ისვრიან ქუჩაზე, არც ერთი სამინისტრო არ ეცემა, მოხელეთა ჯიბეს შეეხენ და ქვეყანა იქცევა!

როგორც ბურჟუაზიაში გაბატონდა მისი პარაზიტული ნაწილი, ისე პროლეტარიატში გაბატონდა მისი პარაზიტული ფენები, ისინი ვინც სიმდიდრეს არ ქმნიან და მუშის ზედმეტი ღირებულების განაწილებაში მონაწილეობენ. მწარმოებელი სოციალიზმის მატარარებელი კლასი უკან დადგა, გამნაწილებელი სოციალიზმის მატარებელი კლასი წინ წამოდგა. ძველი იდეოლოგია უარყოფილია, ახალი იდეოლოგია გამეფებულია. სოციალისტური პარტიების მთელი ბრძოლა დღეს წარმოებს ერის შემოსავლის განაწილების ირგვლივ; პროლეტარიატის ვერც ერთი პროფესიონალური შეკავშირება ვერ გაშორდა ამ ფარგალს, ვერ დააღწია თავი რეფორმიზმის ვიწრო ჩარჩოს (იხ. საფრანგეთის სინდიკატების 30 სექტემბრის (1933) კონგრესის გადაწყვეტილებანი).

რაკი პროლეტარულ რიგებში გაიმარჯვა განაწილების თეორიამ, ამით ეს კლასიც შევიდა ფინანსიური ბურჟუაზიის ორბიტაში, სადაც სწორეთ ეს თეორია ბატონობს და მისი დროშით მსოფლიო კრიზის ებრძვიან. ამიტომ სრულიად შემთხვევითი არ არის რუზველტის პოპულიარობა მემარცხნე წრეებში და დაგეგმილ ფულის მეურნეობაზე იმედების დამყარება. ეს დასკვნა გამომდინარეობს საერთო იდეოლოგიიდან—უშველონ საზოგადოებას ზედმეტი ღირებულების ახალი გადანაწილებით, იმ განსხვავებით რომ ერთნი მას ეწიწება გაბატონებული ბურჟუაზიისაკენ, მეორენი მშრომელებისაკენ. დიდი ბიუჯეტი, დიდი გადასახადები, ფასების აწევა, ძვირი ცხოვრება, ყოველივე ის რასაც წინეთ უარყოფდა სოციალიზმი მიღებულია მუშათა პარტიებში და მასზე აგებულია მათი რეფორმატორული პოლიტიკა.

იდეოლოგია კლასიკური ლიბერალიზმის და კლასიკური სოციალიზმის ერთნაირათ უკან დახეულია, პრინციპიალურათ უძლეველი პოლიტიკურათ დამარცხებულია.

სამაგიეროთ ეგევე არ ითქმის საშუალო კლასებზე და მათ იდეოლოგიაზე. წვრილი მესაკუთრე მწარმოებლები, ირჩენენ რა თავის ეკონომიურ პოზიციებს, ირჩენენ თავის სოციალურ მნიშვნელობას და იდეიურ მიმდინარეობას. აქ ვერ შეიჭრა პარაზიტული ფენები და მათ ვერ აურია გზაკვალი. წვრილი საკუთრების საზღვარი იმდენათ ნათელია. მისი ეკონომიკა იმდენათ ძველი და ტრადიციულია, რომ მისი წაშლა გარედან, სხვა კლასების გავლენით და მიწოლით ადვილი არ შეიქნა. გლეხი მაგარია, მაგრათ ასვია მიწაზე.

საშუალო კლასების იდეოლოგია, ისე როგორც ყველა სხვა კლასების, გამომდინარეობს მათი საწარმოვო მდგომარეობიდან. წვრილი მესაკუთრე, წვრილი თანხის პატრონნი, მუდამ საფრთხეში მყოფნი მეძლებულთა კონკურენციით ქონების დაკარგვით და დაქირავებულთა არმიაში გადასვლით, არ შეიძლება იყვენ კმაყოფილნი არც სხვილი კაპიტალით, არც პროლეტარული შრომის პირობებით. მათი ტენდენციაა თავისი საწარმოვო ურთიერთობა გადააქციონ საყოველთაო ურთიერთობათ, წვრილი შეძლება ბატონათ და პატრონათ. ისინი იცარცვება არა კაპიტალისტური წარმოების პროცესით, ეს მათ არ ეხება, არამედ კაპიტალისტური გაცვლა-გამოცვლით, თავისუფალი ვაჭრობით, სადაც სხვილი კაპიტალისტის მიერ გამოტანილი საქონელი ამარცხებს წვრილისას და მით თავისუფალი კონკურენცია მიიმართება საშუალო კლასების წინააღმდეგ. აქედან მათი მოთხოვნილება—გაუქმება არა კაპიტალისტური წარმოებისა, არამედ კაპიტალისტური ვაჭრობის, ე. ი. საქონელი მუშავდება თავისუფლათ, მაგრამ არ იცვლება თავისუფლათ. მაშ როგორ? «სამართლიანი ფასების» დაწესებით.

პრუდონი სწერს:

«მაშასადამე საკმარისია აღებ-მიცემობის გასაწესრიგებლათ ვაჭრობის დისციპლინაში ჩაყენება, მეთოდიურათ აწყობა მისი ორივე აქტის—ყიდვა-გაყიდვის; ავიღოთ მაგ. გაყიდვა, ეკონომიური სამართლიანობის და ღირებულობის თვალსაზრისით გაყიდვა იქნება გულწრფელი, ნორმალური, შეუბღალავი, თუ ის იწარმოებს რამდენათაც შეიძლება სამართლიანი ფასებით. ხელფასი სამართლიანია თუ ის წარმოადგენს ზედმიწევნითი სისწორით წარმოების ხარჯებს, მწარმოებელთა საშუალო ოფიციალური ცნობით. და ვაჭრის ქირას ანუ ჯილდოს იმ სარგებლობის დაკარგვისათვის, რასაც ის კარგავს საქონლის გაცემით». ვინ ახდენს ფასების ასეთ განსაზღვრას? ეს ორგანოებია: «სახელმწიფო, მის მიერ დროებით წარმოდგენილი ინტერესების მიხედვით, თემი და ერობა მათი მცხოვრებთა სახელით; ესენი გამოდიან იმ მოსაზრებიდან, რომ ყველას უზრუნველჰყოს სამართლიანი ფასები და სალი ნაწარმოები, თავიდან აიცილონ სიყალბე, სპეკულიაცია, მონოპოლია და გარანტიას აძლევენ მწარმოებელთ, რომელნიც საუკეთესო პირობებს წარმოადგენენ, რომ მათ ექნებათ პროცენტები მათ საქმეში დაბანდებული კაპიტალისათვის, ან განსაზღვრული ჯამაგირი, ან და თუ საჭიროა საკმარისი დაკვეთები. სამაგიეროთ ისინი იძლევიან თავის ნაწარმოებთ თუ სამსახურს მომხმარებელთა მოთხოვნილებისამებრ და ვალდებულნი იქნებიან აჩვენონ მათი საქონლის ფასების შემადგენელი ნაწილები, ჩაბარების წესები და სხ. ამას რაც საქონელი გადარჩება, გადის ბაზარზე გასაყიდათ თავისუფალი კონკურენციით» *).

პრუდონის გერმანელ მიმდევარმა როდბერტუსმა ამ მოსაზრებაზე ააგო მთელი თავისი პრუსიული პოლიციური სოციალიზმი, რასაც დღეს ჰიტლერიზმი ახორციელებს.

პრუდონიზმი დაამარცხა ცხოვრებამ, მრეწველობის განვითარებამ, დაამარცხა მეცნიერებამ—ლიბერალურ და სოციალისტურ პოლიტიკურმა ეკონომიამ. მაგრამ დღეს ეს კვდარი აღდგა, დაცლილ მოედანს დაეპატრონა და თან აიყოლია მთელი საზოგადოება. ფასების რეგულიარიზაცია, სამართლიანი ღირებულების დაწესება გადაიქცა საყოველთაო მოთხოვნილებათ. აქ შეთანხმებულია რუზველტი, ჰიტლერი, ჰერიო, სოციალისტები, ველარ გაარჩევ მარჯვენას და მარცხენას. დემოკრატიული საფრანგეთი და ფაშისტური გერმანია ერთნაირათ აწესებენ კანონით ხორბალზე «სამართლიან ფასებს» და ლამობენ ეს გაავრცელონ სხვა ნაწარმოებზედაც, ხოლო რუზველტი უკრძალავდა ვაჭართ გაყიდონ თავისი საქონელი არსებული ფასების ზემოთ, აიღონ «გაზვიადებული მოგება» და სხ. ჰიტლერი ამ გზით ფიქრობს ჩამოაგდოს «სოციალური მშვიდობიანობა», მოსპოს კლასები და კლასთა ბრძოლა; ამ პოლიტიკას ემსახურება დემოკრატიული ამერიკაც. აქ ფასების დიქტატორმა ღენერალ ჯონსონმა 11 ოქტომბრის სიტყვაში გააფრთხილა მუშათა სინდიკატების დელეგატები არ მიმართოთ გაფიცვას. რაიცა «გახდა ზედმეტი დაწესებული რეჟიმის ხანაში. თქვენ არ შეგიძლიათ მოითმინოთ გაფიცვა. ხვალ რომ დიქტატურამ აიღოს ძალაუფლება, რას გააკეთებს იმაზე მეტს, რაც ჩვენ გავაკეთეთ?..»

საშუალო კლასების იდეოლოგია გადაიქცა სახელმწიფო იდეოლოგიათ. ეს, რასაკვირველია, ვერ მოხდებოდა რომ სახელმწიფოს ბატონ-პატრონი ფინანსიური ბურჟუაზია მასში არ ხედავდეს თავის ნათესაობას. რაკი ის თვითონ გახდა წინააღმდეგი თავისუფალი კონკურენციის, მომხრე ტრესტების, მონოპოლიების, ფასების დაწესების, მთელი ერის გაცარცვის საერთო ძალღონით, ურთიერთ შეთანხმებით და უბრძოლველათ სახელმწიფო აპარატების დახმარებით, ცხადია ყოველნაირი რეგულიარიზაცია მისთვის მისაღებია. თუ ეს ძევს მის ხაზზე. ხოლო მისი მთავარი ინტერესია მიიღოს პროცენტები გასესხებულ თანხებზე, პირველ ყოვლისა სოფლის მეურნეობიდან. გლეხები იძულებულია აირჩიონ ორში ერთი: ან ვალების გადახდა და საამისოთ ფასების აწევა ან და ვალებზე უარის თქმა. რაც უდრის რევოლიუციას, ფინანსიური ბურჟუაზიის გაკოტრებას. რუზველტი ამას არ მალავს, ის პირდაპირ აცხადებს—დავეხმაროთ ფერმერებს ვალის გადახდაში; მთელი მისი «მონეტიური პოლიტიკა» ამ მხრით არის მიმართული და ეს სავსებით ძევს გაბატონებული კლასის ინტერესების სფეროში. ვერც ერთმა თანამედროვე პარტიამ, ვერც სოციალისტურმა, ვერ მივიდა იმ დასკვნამდე მეურნეობის გამოსაბრუნებლათ, რომელზედაც მივიდა ძველი ათინის დემოკრატია. როცა მან დაინახა რომ მიწის მესაკუთრეთა დავალიანება საფრთხეში აგდებს თვით დემოკრატიულ წყობილებას, მან სოლონის რეფორმებით ერთი დაკვრით გააუქმა ყველა ეს ვალები, მეურნეობა ჩააბრუნა პირვანდელ უვალო მდგომარეობაში და მით იხსნა ქვეყანა რეაქციონური კატასტროფისაგან. მაგრამ ეს დღეს შეუძლებელი ხდება, ის არ შედის ყველა კლასში და მთელ საზოგადოებაში გამეფებული პარაზიტული ფენების ანგარიშში. ის შედის წვრილ მესაკუთრეთა ანგარიშში, რასაკვირველია, მაგრამ ისინი იმყოფებიან ორგვარ იდეიურ ტყვეობაში—ფინანსიური ბურჟუაზიის და თავისი საკუთარ ტრადიციულ წვრილბურჟუაზიულში.

ამ ნაირათ, საზოგადოების სოციალურ სტრუქტურასან ერთათ მოხდა მისი იდეიური სტრუქტურის შეცვლა. ახალმა ბატონებმა მოიტანეს თავისი იდეოლოგია და ის თავს მოახვიეს მთელ საზოგადოებას. დაიწყო ამის თანახმათ ახალი გზების ძიება, ახალი პოლიტიკის ამუშავება.

(დასასრული იქნება)

ნ. ჟ.

---

*) L' Idèé generale de la Revolution au XIX S. 1851. გვ. 262.

ეკონომიური წერილები

6. პარტიული პროგრამისათვის.

ჩვენი პარტიის პროგრამის პროექტის გამოქვეყნება მეტად სასიამოვნო მოვლენად უნდა ჩაითვალოს. აზრის და მოქმედების ამ საერთო არევ-დარევის დროს აუცილებლად საჭირო იყო ჩვენი შეხედულების ჩამოყალიბება, დასახვა არა მარტო იდეალის, რომელიც ყველა სოციალისტისთვის უდავო უნდა იყოს, არამედ იმ გზის, რომელიც აგვაცდენს მრავალგვარ ხიფათს და გაურკვევლობას, რასაც ახლა მთელ მსოფლიოში და სახელმწიფო საქმიანობის თითქმის ყველა სფეროში აქვს ადგილი; პროგრამამ ხელი უნდა შეუწყოს პარტიის ფართე წრეებს, რათა ისინი სრულიად გარკვეულ მიმართულებით ემზადონ მომავალ პრაქტიკულ მოქმედებისთვის.

პროგრამის პროექტს ყოველთვის ერთი კაცი ან პატარა წრე იმუშავებს ხოლმე; ხოლო ხორცი მას მაშინ შეესხმის და პარტიის სულათ იგი მაშინ გადაიქცევა, როცა იმას პარტიის წევრები შეითვისებენ, როცა იმას პარტიის ფართე წრეები თავის მოქმედების გზათ და ხიდათ გაიხდიან. პროგრამის მექანიკურათ მიღება ადვილია, მაგრამ იმის ირგვლივ საზოგადოების დიდი ნაწილის შეგნებულათ შემოკრება და შეკავშირება უფრო ძნელი საქმეა. ამისთვის დროა საჭირო, საჭიროა აზრთა გაცვლა-გამოცვლა, მრავალ საკითხების საფუძვლიანად შესწავლა და დამუშავება, მათი პოპულარიზაცია. ამიტომაც, თუ ჩვენი ცხოვრების დღის წესრიგში არ დგას პროგრამის პროექტში დასახული პრაქტიკული მოქმედება, სამაგიეროთ წინ გვიდგას ყველა იქ წამოყენებულ საკითხების შესწავლა და გაგება, მათი საზოგადოების ფართე წრეებისთვის გაცნობა. როგორი უნდა იყოს ჩვენი მოქმედების გეზი საბჭოთა ხელისუფლების დაცემის მეორე დღეს? ეს ყველას აინტერესებს—ჩვენს მეგობრებსაც და ჩვენს მოწინააღმდეგებსაც. ამის გაგებამ შეიძლება ბევრი ახალი მეგობარი, თანამებრძოლი, შეგვძინოს და შეიძლება ზოგს ძველს მეგობარს და თანამგრძნობს დაგვაშოროს კიდეც. რუსის პარტიებში და ჯგუფებში ამ საკითხის გამო კარგი ხანია არსებობს აზრთა გაცვლა-გამოცვლა; ჩვენც უნდა გავსცეთ იმას პასუხი.

რამდენათ ის მომავალი პირობები არ იქნება ჩვეულებრივი,—არც ისეთი, რაც რუსეთიდან გამოყოფის წინ ჩვენში არსებობდა, არც ისეთი, რაც დამოუკიდებლობის დროს ჩვენში იყო და არც ისეთი, რაც სხვა ქვეყნებში დღეს არსებობს,—ჩვენი პროგრამის გეგმა მოქმედებისა (და არა საბოლაო მიზანი, რასაკვირველია) იმ სხვისი და ძველი პროგრამებიდან უნდა განსხვავებულიყო. ამ «პროექტის» ღირსებაც ის არის, რომ ის არ წარმოადგენს შაბლონს, მიბაძვას სხვა არსებულ პროგრამებისას; ეს «პროექტი» ბევრს რასმე ახალს ამბობს ძველთან შედარებით. მას ღრმათ აზის ბეჭედი შემოქმედებითი აზრის დაკავშირებით საერთაშორისო და ჩვენი ქვეყნის განსაკუთრებულ პირობებთან. და თუ იმასაც ვიტყვით, რომ ეს პროექტი შედგენილი იყო თითქმის ამ ერთი წლის წინათ, და ბელგიის სოციალისტურმა პარტიამ სულ ამ რამდენიმე კვირის წინ მიიღო თავის სამოქმედო გეგმათ ზოგი ახალი დებულება, ამ ჩვენ პროგრამის პროექტში წამოყენებული, ჩვენ შეგვიძლია ვიამაყოთ კიდეც, რომ ჩვენი პროგრამის ავტორს წინასწარ გამოუთქვამს ის აზრები, რომელსაც შემდეგ, და დამოუკიდებლივ, ბელგიის სახელოვანი სოციალისტური პარტიაც იღებს თავის მოქმედების საფუძვლად; საწყენათ ის დაგვრჩენია, რომ ჩვენმა გაზეთმა იგი ასე დაგვიანებით გამოაქვეყნა.

⁂

პროგრამის პროექტის ყველა ღირსებებმა ხელი არ უნდა შეგვიშალოს შევეხოთ პროგრამის პროექტის ზოგიერთ ფრიად მნიშვნელოვან ადგილებს, რომელნიც ჩვენში გაუგებრობას იწვევენ. უბედურება არაა, რასაკვირველია, ერთი და ორი კაცი რომ ვერ ჩასწვდეს ერთბაშათ პროგრამის ყველა დეტალებს; ხოლო პროგრამის ღირსებას დიახაც ავნებს, თუ პარტიულ რიგებში აღმოჩნდებიან არა ერთი და ორი ისეთნი, ვისთვისაც გაუგებარი დარჩება არა დეტალები, არამედ პროგრამის ფრიად მნიშვნელოვანი ნაწილები. სჯობს ახლავე გაირკვეს ასეთი საკითხები, ახლავე გაიფანტოს გაუგებრობა, რათა პროგრამაში არაფერი იქმნას შეტანილი, რაც შემდეგ შეიძლება პარტიაში დავის საგნად გადაიქცეს.

ერთი ძირითადი საკითხია საქმეს რომ გვირთულებს და გაუგებრობის საფუძვლად რომ ხდება; დანარჩენები იმისგან გამომდინარეობენ. ეს საკითხია შემდეგი: როგორი ეკონომიური ურთიერთობა აღსდგება ჩვენში საბჭოთა ხელისუფლების დაცემის მეორე დღეს: კაპიტალისტური, სოციალისტური თუ გარდამავალი კაპიტალისტურ ურთიერთობიდან სოციალიზმისაკენ?

დასავლეთ ევროპის სოციალისტთა შორის დღეს თითქმის გაბატონებულათ უნდა ჩაითვალოს ის აზრი, რომ ევროპა-ამერიკის კაპიტალისტური ქვეყნები უკვე მიუახლოვდენ იმ მდგომარეობას, როცა დგება ეს უკანასკნელი, «გარდამავალი» ხანა. რუსეთში და ჩვენში ასეთივე მდგომარეობა არის მოსალოდნელი ბოლშევიზმის დაცემის მეორე დღეს? ჩვენის გაგებით, ჩვენი პროგრამის პროექტი სწორეთ ასეთ მდგომარეობას გულისხმობს; ამიტომ სრულიად ლოღიკურია პროგრამაში ისეთი დებულებების შეტანა, რომელნიც, ჩვენის აზრით, ძალიან დააბრკოლებენ ჩვენი ქვეყნის მწარმოებელ ძალთა კერძო კაპიტალისტურ ურთიერთობის ნიადაგზე განვითარებას.

ერთნაირი დასკვნა კაპიტალისტურ ევროპის და საბჭოთა კავშირის (კერძოთ საქართველოს) შესახებ, ამ უკანასკნელში რეჟიმის გამოცვლის თანავე, გამომდინარეობს განა მათი ერთნაირივე ეკონომიურ ვითარებიდან? სხვანაირად რომ ვსთქვათ: საბჭოთა ქვეყნებმა (კერძოთ საქართველომ) განვლეს უკვე ისტორიულ განვითარების ის საფეხური—კაპიტალიზმი, რომელიც ჩვენ, ჩვენი მსოფლმხედველობის თანახმად, აუცილებელ ეტაპათ მიგვაჩნდა სოციალიზმის გზაზე, ეტაპი—განვლილი დასავლეთ ევროპის და ჩრდილოეთ ამერიკის ქვეყნების მიერ? რასაკვირველია არა. თვით «პროექტის» შესავალში საკმაოდ არის განმარტებული, რომ საბჭოთა კავშირმა შეითვისა კაპიტალიზმის მხოლოდ უარყოფითი მხარეები. არსებითად კი საბჭოთა რეჟიმმა კაპიტალისტურ ურთიერთობის ნიადაგზე შემდგარი საბჭოთა ქვეყნები ეკონომიურად უკან დასწია და დასწია ძალიან დიდი ხნით. პროლეტარიატის გამრავლება ერთი ნიშნობლივი თვისებათაგანია კაპიტალიზმის და არა იმის ამომწურავი თვისება; კაპიტალიზმს აგრეთვე სხვა ფრიად საყურადღებო, ხოლო დადებითი, გარემოებანიც ახასიათებენ და, სხვათა შორის, იმის «ფრიად მნიშვნელოვანი ისტორიული ფუნქცია მდგომარეობს კაპიტალის დაგროვებაში, წარმოების გაუმჯობესებასა და გაფართოებაში» (კ. კაუცკი). გასულ მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში და მეოცე საუკუნის ამ განვლილ ხანაში კაპიტალიზმი თამაშობდა უდიდეს პროგრესიულ როლს სულ სხვადასხვა დარგში; იმის ნიადაგზე განვითარდა ევროპა-ამერიკა როგორც ნივთიერად, ისე კულტურულად; კაპიტალისტურ წარმოებას ესაჭიროებოდა საზოგადოება განვითარებული. შრომა თავისუფალი, მისვლა-მოსვლა დაუბრკოლებელი; იმას ესაჭიროებოდა წესწყობილება დემოკრატიული; ამიტომაც იგი იყო მოვლენა პროგრესიული. მოთხოვნილება საზოგადოების იზრდებოდა და ეს ზრდა მოთხოვნილების, თვით მშრომელ კლასებშიც, ხელს უწყობდა წარმოების სწრაფი ნაბიჯით განვითარებას, აუარებელ სიმდიდრის დაგროვებას და იმის კონცენტრაციას, მართალია, კაპიტალისტთა ვიწრო წრის ხელში. დღეს ჩვენ ვხედავთ, რომ სწორეთ კაპიტალისტური ქვეყნებია მდიდარნი რომ არიან ფულით, წარმოებით, კულტურით; ამიტომაც უახლოვდებიან ისინი სოციალიზმს და ამ სოციალიზმის შიშით კაპიტალიზმს უკან დასახევათ ექაჩებიან სულ სხვადასხვა სახის «ფაშისტები». ჩვენ მუდამ ასე ვფიქრობდით: როცა კაპიტალისტური ქვეყნები მიაღწევენ ისეთ მდგომარეობას, რომ მეტად განვითარებულ წარმოებას და კერძო ხელში დაგროვილ სიმდიდრეს ვეღარ მოერევიან, ვეღარ მოუვლიან იმას საზოგადოებრივ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, მაშინ დადგება დრო სოციალისტურ ღონისძიებათათვის, ამ კერძო სიმდიდრეთა «ექსპროპრიაციისთვის» მთელი საზოგადოების საკეთილდღეოთ. «სოციალიზმი გაჩნდებაო, სწერდა კ. კაუცკი, არა დაკნინებულ, არამედ აყვავებულ, განვითარებულ კაპიტალიზმიდან»-ო.

ევროპაში და ამერიკის შეერთებულ შტატებში კაპიტალიზმის ნიადაგზე განვითარებული ურთიერთობა მართლაც აღწევს უმაღლეს საფეხურს. იგი, «პროექტის» ავტორის თქმისა არ იყოს, «ვეღარ იტევს მის საშოში შექმნილ სიმდიდრეს» და ლამის მას თან გადაყვეს. ამის საუკეთესო მაგალითს იძლევა დღევანდელი ეკონომიური კრიზისი და კერძოთ ამ კრიზისის განვითარება ამერიკის შეერთებულ შტატებში, კაპიტალისტურ ქვეყნებში ყველაზე უმდიდრეს ქვეყანაში. მეორე მხრით, ძველი კაპიტალისტური ქვეყნების მშრომელი ხალხი საკმაოდ მომზადებულია კულტურულათ და ორგანიზაციულათ, მას აქვს შედარებით საკმარისი ცოდნა და გამოცდილება, რომ გაბედოს ძველი წესწყობილების სრულუფლებიან მემკვიდრეობაზე თუნდაც ახლავე უფლების გამოცხადება და ახალ წესწყობილების სათავეში ჩადგომა. ინგლისის, ბელგიის, გერმანიის (მათი დანგრევამდის), დანიის და სხვ. ქვეყნების მხოლოდ კოოპერატივების საქმიანობა ნივთიერად, ორგანიზაციულათ და კულტურულათ ბევრ გვარიან მოზრდილ სახელმწიფოთა საქმიანობას აღემატება სიდიდით და სირთულით; ახლა დიდი ხნის მუშაობა პროფესიონალურ კავშირებში, დამზღვევ და დამხმარე კასებში, ადგილობრივ თვითმართველობებში, პარლამენტებში და სხვ.,—ყოველივე ეს დიდი პრაქტიკული სკოლაა და ეს სკოლა ევროპის მუშათა კლასმა განვლო კაპიტალისტურ ურთიერთობის და დემოკრატიულ წესწყობილების ნიადაგზე; იგი ასეთ განძით შემკობილი, ასეთი გამოცდილებით აღჭურვილი დგება პირისპირ კაპიტალისტურ რეჟიმის მესვეურთა წინააღმდეგ. ჩვენ რისი იმედით ვაპირებთ კერძო კაპიტალისტურ წარმოების თითქმის სავსებით განსაზოგადოებული მეურნეობით შეცვლას თუ არა, ყოველ შემთხვევაში იმის არაკაპიტალისტურ განვითარების ნიადაგზე გადაყვანას?

ერთია სამართლიანობა და მისწრაფება სამართლიანობის დამყარების; სხვაა—ობიექტიური პირობები, სინამდვილე, რომელზედაც უნდა აშენდეს რეალური პოლიტიკა. რას სტოვებს თავის უკან საბჭოთა რეჟიმი? ქვეყანას გალატაკებულს, ხალხს თვითმოქმედების უნარს მოკლებულს და ყოველივე ინიციატივას გადაჩვეულს, საზოგადოებას დაშლილს ორგანიზაციულად და ჩამორჩენილს კულტურულად. ასეთ ნიადაგზე აშენებული «სახალხო სოციალური ეკონომია» იქნება სახალხო მეურნეობა მჭლე, დაჩანაკებული, უილაჯო და უპერსპექტივო; მით უფრო რომ მისი «ორგანიზაციული ფორმები» შემოფარგლული იქნება უმთავრესად სახელმწიფო, სათემო, საერობო და კოოპერატიულ დაწესებულებათა, რომელთა საკმაო პრაქტიკის და გამოცდილების დრო ჯერ არ ღირსებიათ, მრეწველობით, ვაჭრობით და კრედიტით. ან ყველა ამ დაწესებულებებმა უნდა გამოიცვალონ თავისი ბუნება და კერძო კაპიტალისტურ მეურნეობის ნიადაგზე უნდა შედგენ, და მაშინ ჩვენ გვექნება საქმე წმინდა წყლის სახელმწიფო კაპიტალიზმთან, ეტატიზმთან, რომლის საუცხოვო მაგალითი საბჭოთა კავშირმა უკვე მოგვცა; ან ისინი ერთ წერტილზე გაიყინებიან და მწარმოებელ ძალთა განვითარებას ხელს ვერ შეუწყობენ.

ის ეკონომიური ურთიერთობა, რომელსაც ჩვენი პროგრამის პროექტი გულისხმობს, არ არის სოციალისტური; მაგრამ იგი არც კაპიტალისტურია. არ არის კაპიტალისტური იმიტომ, რომ თუმცა «ამ ეკონომიკაში რჩება დაქირავებული შრომა და კაპიტალი», მაგრამ, რაც არა ნაკლებ საგულისხმოა, ამ ეკონომიკის «ორგანიზაციული ფორმები» მოკლებული იქნებიან იმ უმთივრეს ფუნქციას, რაც ახასიათებს კაპიტალისტურ მეურნეობას: ზედმეტ ღირებულების შექმნას და იმის მითვისებას, უმთავრეს მოტივს კაპიტალისტურ მეურნეობისას: მოგებას. როგორც ყოველ საფეხურს სახალხო მეურნეობის განვითარებისას, ისე ყოველ წესს მეურნეობისას ახასიათებს მისი საკუთარი პრინციპი და დანიშნულება. კაპიტალისტურ მეურნეობის პრინციპია—მოგება, მისი დანიშნულებაა—სიმდიდრის სიმდიდრეზე დაგროვება და იმის კერძო მესაკუთრეთა ხელში მოთავსება. განსაზოგადოებული მეურნეობა ვერ დაისახავს თავის უმთავრეს პრინციპათ ზედმეტ ღირებულების მითვისებას; მისი უმთავრესი დანიშნულება იქნება მომხმარებელთა საჭიროების დაკმაყოფილება და მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესება. როგორ მოახერხებს იგი ასეთ პირობებში გაუძლოს კაპიტალისტურ ნიადაგზე დარჩენილ მეურნეობას? იგი თავის გადასარჩენათ მოიხმარს ყოველივე გავლენას, რათა კანონების დახმარებით ჩააყენოს შინაური კერძო კაპიტალისტური წარმოება უკანონო შვილის პირობებში და გარეშე ქვეყნის ნაწარმოებს მაღალ ტარიფებით კარები ჩაუკეტოს, არ შემოუშვას. აქედან გამომდინარე შედეგის მაჩვენებელია ივივე საბჭოთა კავშირი.

ახლა ფულის საკითხი. კაპიტალისტურ წარმოებაში მოგება ჰქმნის ახალ კაპიტალს, დაგროვილი კაპიტალი ხელს უწყობს წარმოების ზრდას და განვითარებას. სად უნდა იშოვოს საწარმოვო თანხა ახალგაზდა ქალაქმა, ერობამ? ერთად ერთი წყარო სახელმწიფო ხაზინაა; მადლობა ღმერთს, ამის გამოცდილება საკუთარ პრაქტიკამ მოგვცა. მერე ექნება ამოდენა ფული ფეხზე ახლად წამომდგარ სახელმწიფოს? რა თქმა უნდა, არ ექნება. და აი ჩვენ შევიქნებით მოწმე განუხორციელებელ გეგმების, გაჩერებულ ქარხნების და ფაბრიკების, უმუშევრობის. ასეთი მდგომარეობა კი სოციალიზმს დაგვაშორებს და არა დაგვაახლოვებს.

მაშ როგორია ჩემი შეხედულება? ავიღოთ და მთელი სახელმწიფო დოვლათი,—საბჭოთა კავშირში კი ყოველივე სიმდიდრე სახელმწიფოს ეკუთვნის,—რომელზედაც მილიარდები ხალხის ფული დაიხარჯა, კერძო კაპიტალისტებს მივართვათ? მერე, კაპიტალისტთა კლასი რომ არც კი არსებობს ჩვენში, ყოველ შემთხვევაში ბოლშევიკებმა ხომ სავსებით მოსპეს იგი; თუ იმის შექმნაც პარტიამ პროგრამაში უნდა ჩაიწეროს?

ჩვენ ვფიქრობთ, რომ კლასებს პარტიები და პარტიული პროგრამები კი არ ჰქმნიან, არამედ ისტორიულ განვითარების აუცილებელი პირობები. და სრულიად წარმოუდგენლად მიგვაჩნია, რომ საბჭოთა უღლიდან გამოსული საზოგადოება ისეთ კალაპოტში ჩამოისხას, თუ დემოკრატიული წესწყობილება მოეწყო, რომ მას ნაწილობრივ მაინც არ გამოყვეს მისწრაფება კერძო საკუთრების და კაპიტალის დაგროვების. ეს კი საფუძველია კაპიტალისტურ მეურნეობის განვითარების. ამ გარემოებას ჩვენ სრულიად შეგნებულად უნდა შევხვდეთ და დადებით მოვლენად უნდა შევხედოთ იმას, რადგან ჩვენი ქვეყანა ეკონომიურ განვითარების ისეთ საფეხურზე იმყოფება, რომ ამ გზით განვითარება ჩვენში ჯერ კიდევ დიდი ხნის განმავლობაში, როგორც ეს მოხდა სხვაგან, პროგრესიულ მოვლენათ უნდა ჩაითვალოს. სამი წლის განმავლობაში, 1918—1920 წ. წ., ბოლშევიკებმა მუსრი გაავლეს «ბურჟუაზიას». მერე რა დავინახეთ «ნეპ»-ის მცირე ხნის არსებობის დროს? ახალი, «წითელი ბურჟუაზიის», სწრაფი აღორძინება. პირწავარდნილი მტაცებელნი, რომელსაც «წითელი ბურჟუაზია» უწოდეს, «ჯაყოს» ტიპები შეიძლება სულთამხუთავ საზოგადოებრივ პირობებში წარმოიშვას; წყნარი ბატკანი, რა თქმა უნდა, არც ჩვენებური ბურჟუაზია იქნება, მაგრამ დემოკრატიული კანონმდებლობა, რომელიც მას ლეგალიზაციას უზამს და განსაზღვრულ უფლებას მიანიჭებს, შეზღუდავს მის «მტაცებლურ» მადას.

ჩვენ სრულებითაც არა ვართ იმის მომხრე, რომ ხალხმა სისხლი დაღვაროს, საბჭოთა რეჟიმი დასცეს, დამოუკიდებლობა აღადგინოს და კერძო საკუთრების მესვეურთ თუ კაპიტალისტურ ნიადაგზე საქმის მომწყობთ «ფეშქაშათ» უძღვნას ის, რაც მათ არ შეუქმნიათ. ეს განსაკუთრებით ითქმის წარმოების შესახებ, სულ ერთია წვრილია იგი თუ მსხვილი, რადგან ძველი ქარხანა-ფაბრიკები გაცვდა ან დაიმსხვრა, ახალი კი ხელისუფლებამ ხალხის ჭირსა და ვარამზე გააშენა. არა, ჩვენ ვფიქრობთ, რომ დაეპატრონება რა განახლებული სახელმწიფო მთელ იმ საკუთრებას, რაც დღეს საბჭოთა ხელისუფლების საკუთრებას წარმოადგენს, მან უნდა დაიტოვოს საბოლაოთ თავის განკარგულებაში მხოლოდ ის დარგები მრეწველობის, რასაც იგი მოერევა ნივთიერად და ორგანიზაციულად და პირველ რიგში ისეთები წარმოების დარგში, რომელთაც აქვთ მონოპოლიური ხასიათი ან საზოგადოების ფართე ნაწილის აუცილებელ მოთხოვნილებებს ემსახურება; დანარჩენი კი კერძო პირებს თუ კერძო სააქციონერო საზოგადოებებს უნდა დაუთმოს, და არა უფასოთ, არამედ განსაზღვრულ პირობებში, ხშირად სახელმწიფოს (ერობა და ქალაქი ჩვენ იმავე სახელმწიფოს ორგანოებათ მიგვაჩნია) მონაწილეობითაც და, აუცილებლად, კონტროლით. რასაკვირველია, ამის მსურველი და შესაფერ უნარის პატრონი კერძო პირები თუ დაწესებულებანი თუ აღმოჩნდებიან და ჩვენ ვფიქრობთ, რომ აღმოჩნდებიან. ამ მხრივ სახელმწიფომ მიზანშეწონილობის პრინციპით უნდა იხელმძღვანელოს. მეურნეობის განსაზოგადოებრივობის საკითხში ისეთი დიდი სოციალისტები, როგორიცაა, მაგალითად, კ. კაუცკი და განსვ. ედ. ბერნშტეინი, თანდათანობითი პრინციპის, ეტაპების და დიდი დაკვირვების მომხრენი იყვენ; კერძოთ კ. კაუცკის ამ უკანასკნელ დროის ნაწერებში ეს წითელი ზოლივით არის გატარებული. თუ ჩვენ ასეთ შეხედულებას გავიზიარებთ, ეს უნდა ითქვას კიდეც ჩვენს პროგრამაში, რათა «ბურჟუაზიულათ» განწყობილს საზოგადოების ნაწილს რწმენა ჰქონდეს, რომ ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ განვითარების ახლანდელ საფეხურზე მათი საქმიანობა ჩვენც საჭიროთ და სასარგებლოთ მიგვაჩნია.

ეს სრულებით იმას არ ნიშნავს, რომ უნდა აღსდგეს ძველი ლიბერალურ ეკონომიურ სკოლის პრინციპები, კაპიტალისტურ ორგანიზაციებს როგორც მოეპრიანებათ ისე იმოქმედონ. დემოკრატიულ სახელმწიფომ უნდა დაიცვას ხალხის უმრავლესობის ინტერესები, შრომის პირობები და სხვ. ისეთ კანონებით, რომელნიც უფლებას მიანიჭებენ ხელისუფლებას კონტროლისას, შესაფერ წესების დამყარებისას, თავისუფალ მოქმედების განსაზღვრულ ჩარჩოებში ჩაყენებისას (ამის შესახებ «პროექტში» და ჩვენი ქვეყნის «კონსტიტუციაშიც» საკმარისად არის ნათქვამი). მაგრამ ეს არც იმას უნდა ნიშნავდეს, რომ კაპიტალისტურ ორგანიზაციებს მათი საკუთარი ბუნების გამოცვლა უნდა მოეთხოვოს და სულ სხვანაირ პრინციპებზე აშენებულ «სოციალურ ეკონომიის ქსელში შეყვანა»: თავისუფალ სახელმწიფოში კანონი ვერ განსაზღვრავს იმას, თუ ვინ რას უნდა აკეთებდეს (ეს ძალიან ძნელიცაა), იგი აღნიშნავს მხოლოდ თუ რა არ უნდა კეთდებოდეს, იგი აღკრძალავს ბოროტმოქმედებას. დემოკრატიულ სახელმწიფოში ყოველგვარი დაწესებულება უფლებრივ ნიადაგზე უნდა იდგეს და ეს უფლება მას უნდა ანიჭებდეს საშვალებას იმოქმედოს თავის საკუთარ პრინციპების მიხედვით, ხოლო დაცვით საზოგადოების უმრავლესობის ინტერესებისა. უამისოდ ვერც ერთი დაწესებულება ვერ იარსებებს. ჩვენ ვფიქრობთ, ჩვენი კონსტიტუციაც ამას გულისხმობდა, როცა იგი ამბობს სახელმწიფო თუ საზოგადოებრივ მეურნეობის შესახებ და არსად გულისხმობს კაპიტალისტურ მეურნეობის ისეთ განსაკუთრებულ კატეგორიათ გამოყოფას, რომ იგი დღე-დღეზე უნდა მოელოდეს «სოციალურ ეკონომიის ქსელში შეყვანას», ნებით თუ უნებლივ. ასეთ ალტერნატივის წინაშე იგი ვერ გაიფურჩქნება, ასეთ პირობებში კერძო ვაჭრობა-მრეწველობა არსად განვითარებულა.

თუ ზემოთ მოყვანილ მოსაზრებებში არ ვცდებით, თუ შევსძელით ჩვენი შეხედულების ნათლად გადმოცემა, იმ შემთხვევაში ჩვენის აზრით «პროექტის» მეოთხე მუხლი («სოციალურ სფეროში») შესაფერისად უნდა გადაკეთდეს; ახლანდელ სახით ეს მუხლი უფრო შეეფერება კაპიტალისტურათ ზედმიწევნით განვითარებულ ქვეყნებს (ამით აიხსნება ბელგიის სოციალისტური პარტიის მოქმედების უკანასკნელი გეგმა), მაგრამ არ შეეფერება ჩვენი ქვეყნის მწარმოებელ ძალთა განვითარების ინტერესებს ამ ხანათ; ჩვენი ქვეყანა ამისთვის ჯერ ჯერობით არ არის მომზადებული არც ეკონომიურათ და არც კულტურულათ. და ამ ხაზს მოქმედებისას უნდა დავადგეთ მაშინაც, ხელისუფლება სავსებით ჩვენი პარტიის ხელში რომ გადმოვიდეს, როგორც ეს მოხდა 1918 წ.; იმიტომ რომ, ეს გარემოება, ხელისუფლების მოპოვება, კი არ სწყვეტს საკითხს, არამედ «ფაზა» ეკონომიურ განვითარების. «ყველა შემთხვევაში, როცა პროლეტარიატი პოლიტიკურ უფლებას მოიპოვებს, როდესაც და როგორათაც ეს არ უნდა მოხდესო, სწერდა კ. კაუცკი, ჩვენს წინაშე, მარქსისტების წინაშე, უპირველეს ყოვლისა დგება ამოცანა, თუ ბუნებრივ განვითარების რომელ ფაზაში იმყოფება საზოგადოება, როცა ხელისუფლება პროლეტარიატის ხელში გადადის და ამას უნდა შევუფარდოთ გამარჯვების გამოყენება, უნდა გავაფრთხილოთ იგი უდროვო ღონისძიებებიდან, რამდენათაც ეს ღონისძიებანი სასურველი არ უნდა იყვენ პროლეტარიატისთვის. თუ კი ესენი ამ პირობებში მიზანს ვერ მიაღწევენ და, მაშასადამე, მთელ მოძრაობას დააბრკოლებენო» (იხ. «პროლეტარული რევოლიუცია და მისი პროგრამა», რუს. გამოცემა, გვ. 118). ასეთ ზომიერებას, ასეთ მეთოდს ხედავდა კ. კაუცკი დამოუკიდებელ საქართველოს სოციალ-დემოკრატ. პარტიის საქმიანობაში და ეს მეთოდი მან მოუწონა კიდეც მას საჯაროთ თავის წიგნში: «დემოკრატიიდან სახელმწიფო მონობისაკენ».

⁂

იმდენათ არ გავკადნიერებულვართ, რომ ვფიქრობდეთ, თითქოს პროგრამის ავტორს ჩვენი მოგონება სჭირდებოდეს ისტორიულ მატერიალიზმის მსოფლმხედველობის მნიშვნელობისა საზოგადოებრივ ცხოვრების განვითარების გასაგებათ. წინააღმდეგ, ჩვენ სწორეთ იმან დაგვაფიქრა და ის გვეუცხოვა, რომ პროგრამის დასკვნები ჩვენ ვერ შევათანხმეთ ამ მსოფლმხედველობის დედა-აზრთან, თვით «პროექტის» ავტორის მრავალ სხვა ნაწერებთან, და საქართველოს მომავალი განვითარება საბჭოთა რეჟიმის დაცემის თანავე არა კაპიტალისტურ ნიადაგზე ჩვენთვის პირადათ გაუგებარი რჩება. არც მარტო უნდა ვიყო ჩვენს პარტიაში, რომ ასეთი აზრები დამებადა. ამიტომ ჩვენი მოსაზრების სხვებისთვის გაზიარება ჩვენ სასარგებლოთ მივიჩნიეთ. ამ წერილში წამოყენებულ კითხვებზე ყურადღების მიქცევა, ჩვენი მოსაზრებების გარჩევა ხელს შეუწყობს გაუგებრობის გაფანტვას.

შემდეგ წერილში ჩვენ შევეცდებით კონკრეტიულათ შევჩერდეთ პროგრამის პროექტის იმ ადგილებზე, რომელთაც ჩვენი განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრეს ზემოთ მოყვანილ თეორეტიულ მოსაზრებებთან დაკავშირებით.

ვ. ვ.

პროგრამის პროექტის გამო

«ბრძოლის ხმის» წინა ნომერში დაიბეჭდა საქ. სოც.-დემოკრატიულ პარტიის ახალი პროგრამის პროექტი, რომელიც ეკუთვნის პარტიის ლიდერის ამხ. ნ. ჟორდანიას კალამს. პროექტი დაწერილია მისი ავტორისათვის ჩვეულ კალმისა და აზრის სამაგალითო ოსტატობით, თავიდან ბოლომდე ჩამოსხმულია დიდი ხელოვნის ნაწარმოებ ქანდაკებასავით. ავტორს დასახული აქვს სრულიად გარკვეული მიზანი და მას მწყობრი თანდათანობით ანვითარებს პირველი სტრიქონიდან უკანასკნელამდე. ეს მიზანია სახალხო სოციალური ეკონომიის აგება. ამ უკანასკნელის ბაზათ კი დასახულია ჩვენი ქვეყნის მსხვილი წარმოების და საკუთრების ხალხის ხელში გადასვლა კომუნისტური ტირანიის დაცემის მეორე დღიდანვე. ამ საფუძველზე უნდა იწარმოვოს ქართველი ერის განვითარებამ; ხოლო ამ განვითარების წინასწარი პირობაა უცხო უღლის გადაგდება და ეროვნული დამოუკიდებლობის აღდგენა. ასეთია პროექტის მოკლეთ გამოთქმული შინაარსი.

თავისთავად იგულისხმება, რომ შეუძლებელია გაზეთის ფურცლებზე დაბეჭდილ მოკლეთ გადმოცემულ პროექტში ყველა დეტალები იყოს გათვალისწინებული და ამომწურავად გარკვეული. ჩვენს წინ მდებარე პროექტი წარმოადგენს მწყობრათ ას-

ხმულ დებულებებს; მისი განმარტებითი ნაწილის თვითეული წინადადება ცალკე დებულებაა, რომელზედაც შეიძლება წიგნის მთელი თავები დაიწეროს.

უდავოა, რომ აზრის მოკლეთ გამოთქმა დიდი ღირსებაა. მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში მას შეუძლია ზოგიერთი გაურკვევლობაც დაბადოს. ჩემის აზრით ეს ნაკლი ამ «პროექტსაც» ახლავს. წინათ, როგორც ყველა სოციალისტური პარტიების, ისე ჩვენი პარტიის პროგრამაც ორი ნაწილისაგან შესდგებოდა. პირველი ნაწილი, ეგრედ წოდებული პროგრამა მინიმუმი, მიზნათ ისახავდა მეფის თვითპყრობელურ დესპოტიის დამხობას, მის ნანგრევებზე დემოკრატიული და რესპუბლიკანური მართვა-გამგეობის მოწყობასთან ერთად მთელი რიგი პოლიტიკურ და სოციალურ რეფორმების გატარებას, პირველ რიგში ფეოდალურ ნაშთების მოსპობას და ქვეყნის ეკონომიურ განვითარებისათვის გზის გაწმენდას. პროგრამის მეორე ნაწილი კი შეიცავდა საბოლაო მიზანს,—საზოგადოების სოციალისტურათ გარდაქმნას,—და ითვალისწინებდა ამ მიზნის შესაფერ ღონისძიებათა გატარებას. ამ უკანასკნელათ დასავლეთის ზოგიერთ მოწინავე ქვეყნების სოციალისტურმა პარტიებმა მოსპეს პროგრამის ორ ნაწილად გაყოფა. მათი ახალი პროგრამები წარმოადგენს ერთ განუყოფელ, მთლიან ერთეულს, რომლის საფუძველს შეადგენს სოციალური გარდაქმნის პროცესში შესვლა. ამ ქვეყნებისათვის ასეთი რამ სრულიად ბუნებრივია. თვითეული ქვეყანა წარმოადგენს დამოუკიდებელ ეროვნულ სახელმწიფოს, აქვს დემოკრატიული წესწყობილება და საკმაოდ განვითარებული ინდუსტრია.

სულ სხვანაირ მდგომარეობაში იმყოფება ჩვენი ქვეყანა. იგი დაპყრობილია უცხო ძალის მიერ და მისი ეროვნულ სახელმწიფოებრივი სუვერენობა მოსპობილია; მისი პოლიტიკური რეჟიმი უაღრესობამდე ბარბაროსულია, მისი ეკონომიური ცხოვრება შებოჭილია, ხალხი და ქვეყანა გალატაკებული და განადგურებულია,—ერთი სიტყვით არ არსებობს ის, რაც «პროექტის» სრულიად სწორი მითითებით შეადგენს აუცილებელ წინასწარ პირობას «სახალხო სოციალური ეკონომიის» ასაგებათ. ცხადია, რომ ამ «წინასწარი პირობის» მოპოვება, ე. ი. უცხო უღლის თავიდან მოცილება, ეროვნულ სუვერენობის აღდგენა და დემოკრატიულ საფუძველზე სახელმწიფოებრივი მდგომარეობის განმტკიცება, შეადგენს ჩვენი პარტიის უახლოეს მიზანს. ამ საქმეში ჩვენი პარტიის თანამგზავრნი და მოკავშირენი იქნებიან ჩვენი ქვეყნის როგორც სოციალისტური, ისე სხვა დემოკრატიული და პროგრესიული პარტიებიც, უკეთ რომ ვსთქვათ, მთელი ქვეყნის ყველა სასიცოცხლო ძალები.

ზემოთ თქმულ მოსაზრებების გამო მე მეეჭვება მიზანშეწონილება ჩვენი სოც.-დემოკრატიულ პარტიის პროგრამის აგება დასავლეთ ევროპის მოწინავე ქვეყნების სოციალისტურ პარტიების პროგრამის ყაიდაზე. ჩემის აზრით ჩვენი პარტიის პროგრამა ახლაც ორი ნაწილისაგან უნდა შესდგებოდეს და მისი პირველი ნაწილი უნდა გულისხმობდეს იმ ზომების მიღებას, რომელნიც უფრო მოკლე გზითა და ნაკლები მსხვერპლის გაღებით მიგვიყვანებენ ჩვენი ქვეყნის განთავისუფლებამდე. ეროვნულათ განთავისუფლებული, დემოკრატიულ საფუძველზე მოწყობილი ქვეყანა, სადაც შესაფერ გასაქანს პოვებს ჩვენი ქვეყნის საწარმოო ძალების დაუბრკოლებელი განვითარება, შეიქნება ის ასპარეზი, რომელზედაც ფრთებს გაშლის ჩვენი პარტია და მთელი თავისი ენერგიით აწარმოებს ბრძოლას მისი საბოლაო მიზნების გასამარჯვებლად. ასეთ პირობებში სრულიად შესაძლებელი იქნება, რომ ჩვენმა სოციალისტურმა მუშათა პარტიამ მშვიდობიანის გზით მიაღწიოს თავის მიზნებს. ამის შესაძლებლობა გამორიცხული არ იყო არც კ. მარქსისთვის, რომელმაც ჯერ კიდევ 1872 წელში ჰოლანდიაში განაცხადა:

«ჩვენ ვიცით, რომ პოლიტიკურ ძალაუფლებისათვის ბრძოლაში აუცილებელია ანგარიში გაეწიოს სხვადასხვა ქვეყნების დაწესებულებებს, ზნესა და ჩვეულებებს, და ჩვენ არ უარვყოფთ, რომ არიან ისეთი სახელმწიფოები, როგორც ინგლისი და ამერიკა,—და მე რომ თქვენი ქვეყნის დაწესებულებებს უკედ ვიცნობდე, შეიძლება ჰოლანდიაც მათ რიცვში შემეტანა,—სადაც მუშებს შეეძლოთ მშვიდობიანი გზით განეხორციელებიათ თავისი მიზნები» *).

ეგეთივე შეხედულება გამოთქვეს: ენგელსმა 1891 წელში და კ. კაუცკიმ 1922-ში. უკანასკნელის აზრით «პროლეტარული რევოლიუცია შეიძლება განხორციელდეს ძალადობის გამოუყენებლათ, სრულიად კანონიერის გზით და ეკონომიური პროლეტარული რევოლიუცია აღმოჩნდება მით უფრო წარმატებიანი და მისი ნაყოფი მით უფრო ხანგრძლივი, რაც უფრო მშვიდობიანი იქნება ის გარემოება, რომელშიაც იგი წარმოებს» **).

ამხ. ნ. ჟორდანიას «პროექტი», როგორც ზევითაც აღვნიშნე, არ გულისხმობს პროგრამის ძველებურათ ორ ნაწილად გაყოფას. იგი წარმოადგენს ერთი ჯაჭვის მწყობრათ აგებულ რგოლებს.

ამ «პროექტში» განსაკუთრებული ყურადღების ღირსია მისი სოციალური ნაწილი, რომელიც გულისხმობს «სოციალური ეკონომიის ქსელის» მოწყობას. როგორც თვით «პროექტი»-ც განმარტავს, ეგ—თქმა არ უნდა—სოციალიზმი არ არის, მაგრამ ჩვენი ქვეყნის სამეურნეო ურთიერთობის სოციალურ გარდაქმნის სფეროში შესვლას კი უთუოდ წარმოადგენს.

«პროექტის» სოციალური მოთხოვნილებანი გამომდინარეობენ მის შემდეგ დებულებიდან: «დასავლეთში საკითხი დგას ბურჟუაზიული წყობილების სოციალისტურ წყობილებათ გარდაქმნის, საქართველოში კი ბოლშევიკურ, ე. ი. არა ბურჟუაზიულ, არამედ სახელმწიფო კაპიტალისტურ წყობილების სოციალისტურათ დაბოლოვების». ამ ამონაწერში ყურადღებას იქცევს ის, რომ დასავლეთსა და საქართველოს შორის თანასწორობის ნიშანია დასმული.

დასავლეთის იმ ქვეყნებში, სადაც ინდუსტრიალიზაცია უაღრესობამდეა განვითარებული, ბურჟუაზიული წყობილების სოციალისტურათ გარდაქმნის საკითხი მართლაც დგას დღის წესრიგში. კაპიტალისტურ მეურნეობის ზოგიერთ დარგში ტეხნიკის განვითარება უკვე გადასცილდა იმ საზღვარს, რომლის იქეთ კაპიტალისტური სისტემის აღსასრული ისახება. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ გერმანიაში მეურნეობის ზოგიერთ დარგში უკვე აღკძალეს ახალ გამოგონებულ გაუმჯობესებულ მანქანებით სარგებლობა. ცხადია, რომ ამ ზომას ადრე თუ გვიან მიმართავენ სხვა მაღალ ინდუსტრიის სახელმწიფოებიც, მაგრამ ისიც ცხადია, რომ ეგ უსუსური პალიატივი მდგომარეობას ვერ უშველის. ამ საშიშ ავათმყოფობას მხოლოდ ერთად ერთი წამალი აქვს, ეს არის სოციალიზაცია, განსაზოგადოება მეურნეობის იმ დარგების რომელნიც ვერ ეტევიან ძველ კაპიტალისტურ ხალათში. მაგრამ სამწუხაროდ ეგ საქმე ისე ადვილად არ კეთდება, როგორც ითქმება. მსხვილი და უაღრესად განვითარებულ თანამედროვე წარმოების მართვა-გამგეობა და მისი აყვავების გზით მიმართვა ისე ადვილი არ არის, როგორც წვრილი წარმოების მოვლა და პატრონობა. როგორც ამას სრულიად საფუძვლიანად განმარტავს კ. კაუცკი. «თანამედროვე მსხვილი წარმოების ორგანიზაცია და მისი მართვა-გამგებლობა, პირიქით მოითხოვს ვრცელ მეცნიერულ მომზადებას როგორც ტეხნიკის, ისე ეკონომიის დარგში და მეცნიერების და ბაზრის განვითარების მუდმივი თვალყურის დევნებას. ასეთ ცოდნათა გარეშე სრულიად შეუძლებელია წარმატებით უხელმძღვანელო მსხვილ წარმოებას და იქონიო იგი თანამედროვე მოთხოვნილებათა დონეზე. აქედან ცხადია, თუ რა დიდი ვნება იქნება, როდესაც რომელიმე უვიცი გაუფრთხილებლად და უხეშათ მოკიდებს ხელს ამ რთულ ორგანიზმს, რათა ახალი ცვლილებები შეიტანოს შიგ, ან სულ თავყირა დააყენოს ის» *).

ევროპაში სათანადოთ მომზადებული ტეხნიკური ძალები საკმაოდ მოიპოვებიან და ამ მხრით სოციალიზაციის საქმე არ დაბრკოლდება, მაგრამ არც ეს კმარა. სამეურნეო ურთიერთობის სოციალისტურ გარდაქმნის ლიანდაგზე გადაყვანა მოითხოვს, რომ პოლიტიკური ძალაუფლებაც სოციალისტური დემოკრატიის ხელში იყოს, ხელისუფლებას ეს უკანასკნელი ანხორციელებდეს და ამ ხელისუფლების მხარეზე იყოს არა მარტო პროლეტარიატის, არამედ საზოგადოთ დემოკრატიის დიდი უმრავლესობის თანაგრძნობა და დახმარება. უკეთ რომ ვთქვათ, სოციალისტური გარდაქმნის გზაზე შედგომა მოითხოვს არა მარტო ობიექტიური, არამედ სუბიექტიური პირობების არსებობასაც. ამის დასაბუთება ჩვენ მოგვცა კ. მარქსმა და მის შემდეგ არა ერთხელ ამხ. ნ. ჟორდანიამაც. ეგევე აზრი გაიმეორა ოტო ბაუერმაც თავის შრომაში 1919 წ., მაშინ, როდესაც ის კიდევ არ იყო სავსებით დამდგარი ბოლშევიზანურ შეხედულებაზე. «ხალხს თავზე ვერ მოახვევს,--სწერს ის,--პატარა უმცირესობა ახალ ეკონომიურ სისტემას. ის უნდა გამოვიდეს მშრომელთა ფართე მასების საკუთარი სურვილისაგან. ამიტომ პირველი წინასწარი პირობა სოციალიზმისა არის ის, რომ ხალხის უმრავლესობა იყოს გაჟღენთილი სოციალისტური რწმენით, სოციალიზმის სურვილით» **).

თუ დასავლეთის ინდუსტრიალურ სახელმწიფოებში დღემდე ხელისუფლების სათავეში ვერ მოექცა სოციალისტური დემოკრატია და ამ სახელმწიფოთა ეკონომიური ცხოვრება ვერ იქნა გადაყვანილი სოციალური ეკონომიის რელსებზე, ამის მიზეზია სწორედ ის, რომ ხალხის უმრავლესობა ჯერ კიდევ არ არის «გაჟღენთილი სოციალისტური რწმენით».

თუ ასეთია მდგომარეობა ინდუსტრიალურ დასავლეთში, რა უნდა ითქვას საბჭოთა კავშირზე საზოგადოთ და საქართველოზე განსაკუთრებით?

ჩვენ კომუნისტურ გაზეთებიდან ვიცით, თუ რას წარმოადგენს საბჭოთა ქვეყნების ინდუსტრიალიზაცია. ხოლო საქართველოში კერძოდ, როგორც ამას თვით «პროექტიც» ადასტურებს, «არავითარი ინდუსტრიალიზაცია არ წარმოებს თუ სახეში არ მივიღებთ მარგანეცის გატანას, რაც არ ახალია და საეჭვო ღირსების ელექტრონის სადგურების აგებას». საქართველოს დღევანდელი ეკონომიური მდგომარეობა, შედარებით მისი ხანმოკლე დამოუკიდებლობის მდგომარეობასთან, განუსაზღვრელად უარესია. ისედაც განუვითარებელი და დასავლეთთან შედარებით შორს ჩამორჩენილი ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობა დღეს სრულიად განადგურებულია, მისი საწარმოვო ძალთა განვითარება შეწყვეტილია; საქართველო დღეს მოსკოვის კოლონიას წარმოადგენს. მოსკოვი ქართველ ხალხს პირიდან უკანასკნელ ლუკმას ართმევს, მიაქ საქართველოს სასოფლო მეურნეობის მთელი ნაწარმოები, რათა იგი უცხო ვალიუტად აქციოს და თავისი არსებობა გაიხანგრძლივოს. ცხადია ასეთ მდგომარეობაში ჩავარდნილ ქვეყანაში, სადაც «არავითარი ინდუსტრიალიზაცია არ წარმოებს», არ შეიძლება იდგეს საკითხი «ბოლშევიკური, ე. ი. არა ბურჟუაზიული, არამედ სახელმწიფო კაპიტალისტურ წყობილების სოციალისტურად დაბოლოვების». არ შეიძლება ასეთი საკითხი იდგეს თუნდაც იმ უბრალო მიზეზით, რომ ჩვენს ქვეყანაში არ არსებობს არავითარი სახელმწიფო კაპიტალისტური წყობილება ამ ცნების სწორი მნიშვნელობით. არსებობს მხოლოდ ჩვენი ქვეყნისა და ჩვენი ხალხის ბარბაროსული სახის ექსპლუატაცია წმინდა წყლის კოლონიალური მეთოდებით.

«პროექტის» განმარტებით სოციალურ სფეროში ჩვენი პარტია მოითხოვს:

1) საბჭოთა სახელმწიფო ქონების ექსპროპრიაციას ხალხის მიერ (მუხ. 31).

2) ჩამორთმეულ ქონებიდან წვრილ წარმოების და საკუთრების დაბრუნებას იმათთვის, ვისაც ის ჩამოერთვა, ხოლო მსხვილი წარმოების და საკუთრების დატოვებას თავის ხელში, როგორც ბაზას სახალხო სოციალური ეკონომიის ასაგებად (მუხლი 32).

3) სახალხო ეკონომიის ორგანიზაციული ფორმებია: სახელმწიფო, სათემო, საერობო, კოოპერატიული, საამხანაგო და სხვა. ამ ფორმებში მოწყობა სამრეწველო, სასოფლო სამეურნეო, სავაჭრო და საკრედიტო დარგების. თვითეული ამ დარგის დაწყობილებათა კავშირი და მათი დაგვირგვინება კავშირთა კავშირით (მუხ. 33). შევჩერდეთ აქ.

ის მცირეოდენი საბჭოთა სახელმწიფო ქონება (მხედველობაში არ მაქვს ჩვენი ქვეყნის ბუნებრივი სიმდიდრენი), რომელიც ჩვენს ქვეყანაშია, შეადგენს ჩვენი ხალხის ქონებას და საბჭოთა ხელისუფლების დაცემის შემდეგ ბუნებრივათ გადავა მის მემკვიდრე ხელისუფლების ხელში, ე. ი. დარჩება ისევ ხალხის ქონებათ. ვფიქრობ, რომ აქ არავითარ ექსპროპრიაციას არა აქვს ადგილი, ხოლო «პროექტის» რედაქციას კი შეუძლია არასასურველ გაუგებრობის წარმოშობა. ხალხის ფართო მასებში იგი შეიძლება იქნეს გაგებული, როგორც მოწოდება სახელმწიფო ქონების დასატაცებლათ.

ამ «ექსპროპრიაცია» ქმნილ ქონებიდან ხალხი თავის ხელში იტოვებს მსხვილ წარმოებას და საკუთრებას. თუ მხედველობაში მივიღებთ «პროექტის» აქვე მოყვანილ მე-33 მუხლს და განმარტების იმ ადგილს, სადაც ლაპარაკია «კერძო სამრეწველო ინიციატივის გვერდით სახელმწიფო, სათემო და კოოპერატიული წარმოების გაჩაღების» შესახებ, ცხადი იქნება, რომ სახელმწიფო, ერობა და თემი, ე. ი. მთავრობა და ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები გამოდიან მწარმოებლების როლში.

საზოგადოთ ცნობილია და განსაკუთრებით მარქსისტულ სოციალიზმის მიმდევართა წრეებშია განმტკიცებული სრულიად სწორი და სამართლიანი შეხედულება, რომ სახელმწიფო ბიუროკრატია ყოვლად ცუდი აპარატია წარმოების მოწყობის და გაძღოლის საქმეში. სწორედ ამ მოსაზრებით დაბეჯითებით გვირჩევს კ. კაუცკი რაც შეიძლება უკედ გაურკვიოთ ჩვენს თავს და მტკიცეთ შევითვისოთ, «რომ სახელმწიფო ბიუროკრატია არის მხოლოდ ბატონობის აპარატი, მაგრამ არავითარ შემთხვევაში აპარატი ეკონომიური მართვა-გამგეობისა» *).

მართალია «პროექტის» მე-34 მუხლი განმარტავს, რომ «სახელმწიფო, სათემო და საერობო ეკონომიური დარგები ეწყობიან სრულიად დამოუკიდებლათ მათი იძულებითი აპარატისაგან და მუშაობენ თავისი საკუთარი წესებით. ისინი თავის გამართლებას პოულობენ ეკონომიურ საქმიანობაში და ვერასოდეს ვერ დააწვება ტვირთად მართველობის ბიუჯეტს. გამონაკლისს განსაზღვრავს კანონი». ეს განმარტება გარანტიათ ვერ გამოდგება, იგი უბრალო დეკლარაციაა, რომელიც 100 შემთხვევაში 99-ჯერ ქაღალდზე დარჩება.

სახელმწიფო ეკონომიური დარგი უნდა მოაწყოს მთავრობამ; უბრალოთ რომ ვთქვათ მთავრობა მოაწყობს ერთ ზედმეტ კანცელარიას, რომელშიაც მოთავსდებიან მთავრობის მიერ დანიშნული მოხელეები და რომელთა მოვალეობა იქნება სახელმწიფო წარმოების გაძღოლა. სახელმწიფო ბიუროკრატია ხდება ეკონომიური მართვა-გამგეობის აპარატათ **). ასეთივე მდგომარეობა შეიქნება თემში და ერობაშიც.

ახლა ავიღოთ ბიუჯეტის საკითხიც. წარმოვიდგინოთ, რომ რომელიმე თემს გადაეცა, ან თვითონ მოაწყო, რომელიმე დარგის წარმოება. აღებ-მიცემობის საქმეში მოგება და წაგება ამხანაგები არიან, ხან მოგება იქნება, ხან წაგება; მაგრამ ხშირია ისეთი შემთხვევა, როდესაც წაგება სჭარბობს მოგებას და ამით წარმოება ვალიანდება, ქვეითდება და ბოლოს სალიკვიდაციო ხდება. ვინ უნდა დაფაროს ამ განსვენებულ წარმოების პასივი? რა თქმა უნდა მისმა პატრონმა—თემმა და თუ ნებით არ გადაიხდის, გადაახდევინებენ სასამართლოს წესით. ცხადია ეს ხარჯები დააწვება ტვირთად თემის ბიუჯეტს. ასეთივე შემთხვევები შეიძლება ხშირად ექნეს როგორც ერობას, ისე მთავრობასაც.

არც ის არის დასაშვები ქვეყნის ეკონომიური განვითარების თვალსაზრისით, რომ ყველა დარგის წარმოება, რომელიც კი სახელმწიფო თუ რომელიმე სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციას ეკუთვნის, პრივილეგიურ მდგომარეობაში ჩააყენო და ისეთი შეღავათები გაუჩინო, რომელიც კერძო მწარმოებლებს არ ექნებათ («პროექტის» მუხ. მე-37). ეს არის კერძო ინიციატივის შეზღუდვა, რაც ეროვნულ მეურნეობას მხოლოდ ზარალს მოუტანს; ყოველმა წარმოებამ, კერძოა ის თუ საზოგადო, თავის გამართლება უნდა პოვოს თავის საქმიანობაში; თავისუფალ შეჯიბრებაში უნდა დაამტკიცოს თავის უნარიანობა და არსებობის უფლება. გამონაკლისი დასაშვებია მხოლოდ ისეთ წარმოებისათვის, რომელსაც განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი თუ საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს.

«პროექტის» მე-44 მუხლი ზღუდავს მიწაზე თავისუფალ ვაჭრობას—«იმ წესით, რომ უპირატესობა გასაყიდ მიწის შეყიდვაში ენიჭება თემს, ერობას, სახელმწიფოს ან შესაფერ სოციალურ ეკონომიის კავშირს არსებულ მაზანდაში». ჩემის აზრით ამ მუხლსაც შესწორება უნდა იმ სახით, რომ ჩამოთვლილ ორგანოებს უპირატესობა ეძლეოდეთ მიწის შეყიდვაში არა «არსებულ მაზანდაში».—ეს უკანასკნელი მეტად გაურკვეველი მცნებაა.—არამედ შეყიდვის უპირატესობა ეძლეოდეთ «თანასწორ პირობებში», ე. ი. თუ, მაგალითად, გასაყიდ მიწაში თემს [illegible] კერძო მყიდველი აძლევს 100 მანეთს, [illegible] აქვს ამ ფასში თავისთვის დაიტოვოს გასაყიდი მიწა და კერძო მყიდველს არ დაანებოს. ხოლო თუ კერძო მყიდველი იძლევა თემზე უფრო დიდ ფას, ამ შემთხვევაში გამყიდველს უფლება აქვს მიწა პირველს მიყიდოს. ამ საკითხის სხვანაირად გადაჭრა დიდ უკმაყოფილებას დაბადებს გლეხობაში და მისი ცხოვრებაში გატარებაც შეუძლებელი გახდება.

სამწუხაროთ მე არ შემიძლია შევჩერდე ზოგიერთ მნიშვნელოვან დეტალებზე. საამისო საშვალებას არ მაძლევს საგაზეთო სტატიის ფარგლები. დავასკვნი მხოლოდ, რომ მსხვილ წარმოებისა და საკუთრების ხალხის ხელში დატოვება სახალხო სოციალური ეკონომიის ასაგებათ, როგორც ამას გულისხმობს ამხ. ნ. ჟორდანიას პროექტი, გაძარცვულ კოლონიათ ქცეულ ჩვენი ქვეყნისთვის ნაადრევი და მეტად საშიში ექსპერიმენტი იქნება. ამით რა თქმა უნდა იმისი თქმა არ მინდა, რომ საბჭოთა ხელისუფლების დაცემის შემდეგ დარჩენილი სახელმწიფო ქონება მისმა მემკვიდრე ეროვნულმა ხელისუფლებამ უპატრონოთ დააგდოს და ხელის მოთფობის მოსურნეთ დაატაცებიოს. თქმა არ უნდა მთელი ქონება, იქნება იგი წვრილი თუ მსხვილი წარმოება და საკუთრება, ხელისუფლებამ უნდა ჩაიბაროს და უპატრონოს. ეს პატრონობა უნდა გამოიხატოს შემდეგში: წვრილი წარმოება და საკუთრება, სადაც და როდესაც ეს შესაძლებელი იქნება, დაუბრუნოს ვისაც ის ჩამოერთვა. მსხვილი წარმოებიდან და საკუთრებიდან მან უნდა დაიტოვოს ის, რასაც განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს და მისი კერძო მწარმოებლის ხელში გადასვლა სახელმწიფო ინტერესების შელახვა იქნება; დანარჩენს კი ლიკვიდაცია უნდა მოუხდინოს გაყიდვის, იჯარით გაცემის თუ რომელიმე სხვა საშვალებით. სახელმწიფოს ხელში უნდა დარჩეს აგრეთვე საკუთრების უფლება მთელს მიწის გულზე.

აქედან ცხადია, რომ ჩვენი ქვეყნის ეკონომიური აღდგენა და მისი სამეურნეო ურთიერთობის განვითარება იწარმოებს კაპიტალისტურის წესით. ამ უკანასკნელის ჭახრაკში გავლას ჩვენს ქვეყანას ვერ ააცდენს ვერც გაბედული ექსპერიმენტი და ვერც ჩვენი «ხალხის ეკონომიური და სოციალური სტრუქტურის თავისებურობა». სხვა უკეთესი წესის შესაძლებლობას ჩვენი ქვეყნის ობიექტიური და სუბიექტიური პირობები ახლო მომავლისათვის არ იძლევიან.

«სადაც და როდესაც,—სწერს დასახელებულ შრომაში კ. კაუცკი,—შეუძლებელია სოციალისტური წარმოება, იქ კაპიტალისტური წარმოება წარმოადგენს არსებით ხაჭიროებას პროლეტარიატისთვისაც» *).

დასასრულ არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ კომუნისტურ ხელისუფლების აბრუნდებს და წაჯექუკუჯექობას, განსაკუთრებით ეკონომიურ ექსპერიმენტების სფეროში, საზღვარი არა აქვს. პოლიტიკურ სფეროში რომ ბოლშევიკები არაფერს დათმობენ, ეს ყველასათვის ცხადია გარდა დან-ბაუერისა, მაგრამ ეკონომიურ სფეროში შესაძლებელია ცხოვრებამ მათ ბევრი დაათმობიოს თუნდაც მარტო იმ მოსაზრებით, რომ ცოტა ხნით კიდევ გაიხანგრძლივონ თავის განწირული სიცოცხლე.

საამისო მაგალითი ჩვენ უკვე გვაქვს: შორეულ აღმოსავლეთში აღმართულმა საშიშროებამ კომუნისტური ხელისუფლება უკვე აიძულა დათმობების მთელი რიგი გაეკეთებია იაპონიის მოსაზღვრე რაიონებში მცხოვრებ გლეხობისათვის. ვინ იწინასწარმეტყველებს იმის, თუ ხვალ რომელ საშიშროების წინაშე, სად, რის და რამდენის დათმობა დასჭირდება? ამიტომ—თუ სულ შეუძლებელი არა—ძალიან ძნელია სისწორით ვივარაუდოთ ჩვენი ქვეყნის იმ დროინდელი ეკონომიურ პოლიტიკური ვითარება, როდესაც ჩამორეკს ჩვენი ქვეყნის უცხო და უჩვეულო ხელისუფლების აღსასრულის ზარი. ადვილად შესაძლებელია დღევანდელ პირობებთან შეფარდებული, თუნდაც ყოველგვარ ნაკლის თავიდან აცილებით შედგენილი პროგრამა სრულიად შეუფერებელი დარჩეს შესაძლებელ ახალ პირობებისთვის.

ამ მოსაზრებით შეიძლება უფრო მიზანშეწონილი ყოფილიყო ახალი პროგრამის შედგენა გადადებულიყო ჩვენი ქვეყნის განთავისუფლებამდე. განთავისუფლებულ ქვეყანაში, სიტყვის, წერის და კრების თავისუფლების პირობებში გაცილებით უფრო ადვილი იქნებოდა ცხოვრების პირობებთან შეფარდებული პროგრამის შემუშავება. მანამდე ჩვენ შეგვეძლო დავკმაყოფილებულიყავით, მსგავსათ რუსეთის სოციალ-დემოკრატიისა, პლატფორმის შედგენით, რომელიც იქნებოდა პარტიის გზა და ხიდი განმანთავისუფლებელ ბრძოლის მანძილზე.

ი. ჭავჭანიძე.

---

*) კ. კაუცკი, «პროლეტარული რევოლიუცია და მისი პროგრამა» რუსული გამოცემა, 1922 წ. გვ. 100.

**) იქვე, გვ. 220.

*) იქვე, გვ. 221.

**) ციტატა ამოღებულია ნ. ჟორდანიას შესანიშნავ შრომიდან «ეტატიზმი», «ბრძ. ხმა» №№ 34 და 35.

*) კ. კაუცკი, იქვე, გვ. 264.

**) მართალია, ისიც შეიძლება, რომ ეკონომიური დარგის მოწყობის უფლება საკანონმდებლო ორგანოს პრეროგატივათ დარჩეს ისე, როგორც ამას გულისხმობს ბელგიელ სოციალისტის დე მანის გეგმა. ამ შემთხვევაში თვითონ პარლამენტი აირჩევს განსაკუთრებულ ორგანოს, რომელსაც საერთო ხელმძღვანელობისა და კონტროლის გარდა ზოგიერთი აღმასრულებელი ფუნქციებიც ექნება მინიჭებული. მაგრამ მე მაინც მეეჭვება, რომ ამ წესმა მდგომარეობა საგრძნობლათ გააუმჯობესოს. სახელმწიფოს და მისი აპარატების მოვალეობას უნდა შეადგენდეს ქვეყნის ეკონომიური ცხოვრების საერთო ხელმძღვანელობა და მოწესრიგება კანონით განსაზღვრულ ფარგლებში, ხოლო მისი მწარმოებლის როლში გამოსვლა კი არ შეიძლება გამართლებულ იქნეს ეროვნულ მეურნეობის ზრდა-განვითარების თვალსაზრისით.

*) კ. კაუცკი. იქვე. გვ. 226.

◆

შეცდომის გასწორება.

«ბრძოლის ხმის» მე-38 ნომერში დაბეჭდილ «პროექტი საქართველოს სოციალ-ოემოკრატიული პარტიის პროგრამისა» მე-46 მუხლში ნათქვამია: «სამყოფი სახლი და მისთვის მიუცილებელი ეზო არას შემთხვევაში არ გაიყიდება». გამორჩენილია სიტყვა «ვალში». უნდა იყოს: «სამყოფი სახლი და მისთვის მიუცილებელი ეზო ვალში არას შემთხვევაში არ გაიყიდება».

◆◆◆

„ბრძოლის ხმის“ ექსპედიციისაგან

ხელის მომწერთ ვთხოვთ გაზეთის ყველა ანგარიშები პირველ იანვრისათვის გაასწორონ.

«ბრძოლის ხმის» გამოწერა შეიძლება
ამხ. პ. სარჯველაძესთან შემდეგი მისამართით:
M-r P. Sardjveladze
9, rue Seguier 9. Paris (6)

Le Gérant : René Toussaint.

Arpajon— Imprimerie de *La Gazettede Seine-el-Oise.*